# სახალხო გაზეთი

№ 547 — კვირა, 11 მარტი, 1912 წ. — № 547

**განცხადების ფასი:** ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა. „შრომა“-ში, მუხრანის ქუჩა, და ღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთი“-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე, საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება: დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება [illegible] მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. [illegible] პარაკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების [illegible] 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესი [illegible]

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სახარის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6. ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისთვის: ტფილისი, ქართული „სახალხო გაზეთი“ 190.

ტელეფონი № 12-29.

გაზეთის ფასი წლიწადში 8 მ. 50 კ. ცალკე № ყველგან 5 კ.
„ „ თვეში — 75 კ. დამატებიანი 7 კ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა.


## ამ ნომერში ექვსი გვერდია.

ამით ვაცხადებთ, რომ

**„სახალხო გაზეთს“**

ხელის მომწერთა შემკრები აგენტები არსად არა ჰყავს გარდა ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოების **ტფილისის** წიგნის მაღაზიისა და ამიტომ ვინც **პირდაპირ „სახალხო გაზეთის“ კანტორიდან არ იწერს გაზეთს—პასუხსაც არ ვაგებთ.** ყველა წიგნის მაღაზიას შეუძლიან მიიღოს ჩვენ გაზეთზე ხელის მოწერა მხოლოდ თავისი პასუხის მგებლობით და ამიტომ ხელის მომწერლებმა პასუხისმგებლობაც მათ უნდა მოსთხოვონ.

---

1912 წ. **სახალხო გაზეთი** 1912 წ.

**|სურათებიანი დამატება|**

მიიღება ხელის-მოწერა

**წლიური ხელის-მომწერნი** (8 მ. 50 კ.) **მიიღებენ სალიტერატურო კრებულს გრდემლს.**

**| მარტიდან წლის ბოლომდე ღირს 7 მ. 50 კ.**

**ერთი თვით 75 კაპ.**

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ **თვის 1 რიცხვიდან,** მხოლოდ სრული თვეებით და არა უმეტეს მიმდინარე 1912 წლისა.

---

**დიმიტრი ივანეს ძე, ბარბარე მიხეილის ასული ლოლაძენი შვილებითურთ** აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ კვირას, 11 მარტს, შუადღის 12 საათზე, დიდუბის ტაძარში გადახდილ იქნება პანაშვიდი, დაუვიწყარ ასულის, ქალთა მეორე გიმნაზიის მოსწავლე

**ლ ი ზ ა ს**

გარდაცვალების შვიდი დღის თავზე. (2.292.2)

---

**ქ. ქ უ თ ა ი ს ი** (ქალაქის თეატრი). **კვირას, 11 მარტს,**

**ი. გრიშაშვილის თაოსნობით გაიმართება**

**საღამო-მეჯლისი** სამ განყოფილებად:

1) **კიტა აბაშიძე** წაიკითხავს **ლ ე ქ ც ი ა ს** შემდეგ თემაზე:

**ლ. ტოლსტოი და ილია ჭავჭავაძე,**

(პლატონ კარატაევი და ოთარაანთ ქვრივი).

2) წაიკითხავენ თავიანთ ნაწარმოებს:

**ა კ ა კ ი. დავ. კლდიაშვილი, შ. უმბაძე, ცახელი, დ. მესხი,** ქ-ნი **ნ. ჩარექოვისა, ნ. ლორთქიფანიძე,** ეშმაკის მათრახ წაიკ. №, **ს. აბაშელი, ვ. რუხაძე, ჯ. ჯორჯიკია, ტაბიძე, გუცა, სილოვანის** ლექსს წაიკითხავს—**ი. ზარდალაშვილი, ი. გრიშაშვილი.** 3 ტანისამოსსა და გრიმებში წაიკითხავენ ახალ სცენებს: **ნ. გოცირიძე**—სომხურს. **ვასო ბალანჩივაძე**—იმერულს. **მ. ნემო**—ებრაულურს. **ვას ურუშაძე**—გურულს. **ა. ყალაბეგაშვილი**—გლეხურს. ი. **გრიშაშვილი**—კინტაურს. დასასრულს იმღერებენ „ვაივუის“ ხმაზე საამდროვო კუპლეტებს. ადგილების ფასი ჩვეულებრივია. ბილეთები ისყიდება თეატრის კასაში **დასაწყ. საღამოს 8 საათზე.** (4.1148.4)

---

## ძმ. ზუბალაშვილების სახალხო სახლი

**კვირას, 11 მარტს,**

**ექიმი ვ. ღამბაშიძე წაიკითხავს ლექციას:**

**„მუშა-კაცის ჰიგიენა“.**

ლექციის შემდეგ გაიმართება **საკონცერტო** და **სალიტერატურო** განყოფილება. **დასაწყ. ნაშუადღევის 1 ს.** (2.287.2)

---

## ტფილისის კერძო სამკურნალო

**ქსენიევის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, ვეტცელის სასტუმროს და მიხეილის პროსპექტ. ახლო**

**ტ ე ლ ე ფ ო ნ ი № 590.**

**სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.**

მწოლიარე ავადმყოფების მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი სპეციალისტი-ექიმები:

**ღამბაშიძე ვ. დ.** (ყოველ დღე, გარდა კვირისა). $11^1/_2$—12 საათ.
**დავითიანი რ. ს.** (ყოველ დღე) 1—2.
**ქიქოძე ტ. ს.** (ორშაბათ. და ოთხშაბ.) 9—10.
**მაღალაშვილი გ. გ.** (ორშაბ., სამშაბ. და შაბათობით) 10—12.
**მანსვეტაშვილი ვ. მ.** (ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ.) 2—3.
**მიქელაძე შ. ა.** (ყოველ დღე) $12^1/_2$—1.
**ფიდოროვი ე. გ.** (ყოველ დღე, გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1.

**მარკევიჩი ვ. ლ.** კონსულტატი (ორშაბ., ოთხშ. და პარასკ.) $11^1/_2$—$12^1/_2$.
**მელიქიშვილი ნ. მ.** (ყოველ დღე) 10—1.
**ფირადოვი რ. ბ.** (ყოველ დღე) 12—1.

ექიმი-ქალი **ვერბიცკი-ფირადოვისა ლ.** (ყოველ დღე) 11—12.
**მელიქიშვილი ნ. მ.** (ყოველ დღე) 10—1.
**სულაკოვი ა. ი.** (ყოველ დღე) 12—1.
**თიკანაძე ი. ე.** (ყოველ დღე) 1—2.

**ღამბაშიძე ვ. დ.** (ყოველ დღ. კვირ. გარდა), $11^1/_2$—12 ს.
**მიქელაძე შ. ა.** (ყოველ დღე) $12^1/_2$—1.
**ფიდოროვი ე. გ** (ყოველ დღე გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1.

**გედევანიშვილი მ. ა.** (შაბათობით) $10^1/_2$—11.
**დავითიანი რ. ს.** (ყოველ დღე) 1—2.

**ბთენიანცი ნ. ა.** (ყოველ დღე) 1—2.
**ორემბოვსკი ნ. ს.** (ყოველ დღე) $2^1/_2$—3.

**მუსხელიშვილი ვ. ს.** (ორშაბათობით, ოთხშაბ. და პარასკ.) 2—$2^1/_2$.

**მზარეულიშვილი მ. ი.** (ყოველ დღე) 1—$1^1/_2$.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათაშანგ. Wassrman- რჩევისათვის 50 კ., საწოლები 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მანეთიდან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მან. ოპერაციები, კონსულიუმი, შარდის ბუშტისა და მილების კატეტერიზაცია; „606“ **წამლის** შეშხაპუნება. ელექტრონით წამლ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შეღავათიანი საფასურით. (წ.—1010—290)

---

## სარატოვის სარპინკის მექარხნეთა

# სავაჭრო სახლი ე. ე. „მაიერ“

ერევნის მოედანი სასტუმრო **„კავკაზის“** ქვეშ.

მივიღეთ დიდ-მალის შიგრჩევით

**საგაზაფხულო ახალ-ახალი საქონელი**

**მომავალ დღესასწაულებისათვის**

პატივისცემით სავაჭრო სახლი **„ე. ე. მ ა ი ე რ“**. (2.1143.2)

---

**ტელეფ. № 795.** **ქართული თეატრი** **ტელეფ. № 795.**

კვირას 11 მარტს 1912 წ.

**კაპელდინერების საბენეფისოდ** ქართველ მსახიობთა ამხანაგობის მიერ წარმოდგენილი იქნება:

**რ უ ს თ ა ვ ე ლ ი**

ისტორ. დრამა 4 მოქ. კ. მესხისა.

**არც აქეთ, არც იქით.**

ვოდევ. ერთ მოქ. ვ. გუნიასი,

მონაწილეობას ღებულობენ: ქ-ნნი ამირაჯიბი, ლეჟავა, ნებიერიძე. ბ-ნნი აბაშიძე. არადელი, აბდუშელი, ივანიძე, გუნია. მესხი, მატარაძე, მგალობლიშვილი, ციციშვილი. დასაწყისი საღამოს 8 საათზე. ადგილების ფასი ჩვეულებრივია. ანონსი მზადდება: ორი ობოლი. რეჟ. კ. მესხი. ადმინისტ. ვ. გუნია. 3—288—3

---

**ა ხ ა ლ ი კ ლ უ ბ ი**

სამშაბათს, 13 მარტს 1912 წ. **ბენეფისი** ორკესტრის დირიჟორის

**ს. ი. პრესმანისა**

**მესამე სიმფონიური კრება**

ასრულებულ იქნება განსაკუთრებით **პ. ი. ჩაიკოვსკის** ნაწარმოებნი:

1. სიმფონია № 1 g—moll op. 13. სერენადა სიმებიანი ორკესტრისათვის op. 48. 3. უვერტიურა „1812 წელი.“ სიმებიანი ორკესტრი შესდგება 43 კაც. და იქნება სამხედრო მუზიკა. დასაწყისი საღ. 9 საათზე. ბილეთები იყიდება თეატრის კასაში. (3—1119—1)

---

**ა ხ ა ლ ი კ ლ უ ბ ი**

ორშაბათს, 12 მარტს 1912 წ. **სინემატოგრაფი** ს. ო. ივანიცკაიასი.

ნაჩვენები იქნება დიდი სურათი 2 ნაწილად,

**ცხოვრების ქარიშხალში**

დასაწყისი საღამოს რვა საათზე.

სინემატოგრაფის შემდეგ იაფ-ფასიანი **ლ ო ტ ო.** (1.1149.1)

---

## ნაძალადევის თეატრი

**დღეს, 11 მარტს,** ნაძალადევის თეატრში დანიშნულია

**ბენეფისი ქ-ნ ელ. ჩიქოვანისა**

წარმოდგენილი იქნება: **ღ ა ლ ა ტ ი,** დრამა 5 მოქმედ. სუმბათაშვილისა.

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი ელ. ჩიქოვანი, ე. ციმაკურიძე, მარგ. გოგოლაშვილი, ს. გოგაშვილისა; ბ-ნნი: სვ. სვიმონიძე, ვ. კუდუხოვი, ვ. სადუღიშვილი სან. გოგაშვილი, ა. გიორგაძე, გერ. სვანიძე, მ. ლორთქიფანიძე და სხვანი. ადგილების ფასი 10—50 კ. **დასაწყისი სწორედ 8 ს.** (1—1100—1) რეჟისორი **სვ. სვიმონიძე.**

---

**საფუძვლიან გადაკეთების შემდეგ გაიხსნა** ახალ პატრონთა ხელში გადასული

**კ ა ფ ე - პ ა რ ი ზ ი**

ქართველ თავად-აზნაურთა სახლი, სასახლის ქუჩაზე.

**ღია იქნება ღამის 2 საათამდე**

11—1 საათ. ✦ 1—5 ს. ✦ 5—2 ს.

**საუზმე**—30 კ. ✦ **სადილი.** ✦ **ვახშამი**—30 კ.

**ყოველ დღე:** ღომი ღოშით, საცივი, ხარჩო, და სხვა საგულისგულო საჭმელები, როგორც ევროპიული, ისე აზიური. **კერძები:** მხოლოდ წმინდა ერბოთი მზადდება ცნობილ მზარეულის მეთვალყურეობით. **ყავახანა გაფართოვებულია.** მივიღეთ ახალი ბილიარდები გოც სა. საჭმელებს სახლებშიაც ვამლევთ თვიურად, დიდის შეღავათით. (თ.—113—3)

---

## ქ. შ. წერა-კითხ. გამ. საზოგ. წიგნის მაღაზიაში

**ისყიდება შემდეგი წიგნები:**

**თხზულ. ე. გაბაშვილისა** 1 მ. 20 კ.

**ილია ჭავჭავაძის** შემდეგი მოთხრობები:

| | |
|---|---|
| კაცია-ადამიანი?! | 20 „ |
| გლახის ნაამბობი | 20 „ |
| ოთარაანთ ქვრივი | 18 „ |
| ნიკოლოზ გოსტაშაბიშვილი | 3 „ |
| სახრჩობელაზე | 5 „ |
| მგზავრის წერილები | 7 „ |
| გლეხთა განთავისუფლებ. პირველი დროის სცენები | 7 „ |
| უცნაური ამბავი | 4 „ |
| რჩეული ლექსები | 7 „ |
| განდეგილი | 5 „ |
| კაკო ყაჩაღი | 5 „ |
| დედა და შვილი | 3 „ |
| დიმიტრი თავდადებული | 7 „ |
| აი ისტორია | 35 „ |
| ცხოვრება და კანონი | 25 „ |
| კრიტიკული წერილები | 25 „ |
| პოლემიკური წერილები | 10 „ |
| **ახლად შემოსული წიგნები:** | |
| ოცნება, **აკაკისა** | 10 „ |
| ორი მხატვარი, ნათარგ. ავალიანისა | 15 „ |
| დალი, დრ.მა 3 მოქმ. გლახაშვილისა | 20 „ |
| სამი საყმაწვილო ამბავი ვაჟაფშაველასი | 15 „ |

წიგნები ფას-დადებითაც იგზავნება.

**ადრესი:** Тифлисъ Книжный магаз. О—ва распр. грамот. ср. груз. населенія. (წ.—1141—5)

---

**გ ა მ ო ც დ ი ლ მ ა**

## მასწავლებელმა

**ჩვეულებრივად წელსაც გააგრძელა მეცადინეობა** მოსწავლე ქალ-ვაჟებთან. **მიღება პირობებით:** გიმნაზიისთვის სხვა და სხვა კლასებისთვის, როგორც სავაჟო, ისე საქალებოსთვის. სამასწავლებლო ხარისხებზე, საბებიო ინსტიტუტისთვის, სამხედრო და სატეხნიკო სასწავლებლისთვის. **აგრეთვე გააგრძელებს მიღებას: სასულიერო სემინარიისთვის, გიმნაზიისთვის, რეალურ, სამხედრო და მიწის მზომელთა** სასწავლებლისათვის, **სამოქალაქო** და **სატეხნიკო** სასწავლებლისათვის. ამზადებს ერთ და ორ კლასიან **მასწავლებლობის ხარისხზე,** ყველა კლასის **ჩინისთვის.** ღებულობს **ანბანის უცოდინარ** ქალ-ვაჟებსაც. მეცადინეობა ჩვეულებრივად იქნება სამ ალაგას: 1) ვერაზე, 2) ვაგზალზე, 3) ვორონცოვის ძეგლის მახლობლად. მონაწილეობას იღებენ მასწავლებლები, მცოდნენი უცხო ენებისა და სხვა და სხვა საგნებისა.

**იღებს პირობებით.** მეცადინეობა იწყება დილის 8 საათზე და გრძელდება საღამო-8 საათამდე. მსურველ მოწაფეებს არა უფროსს 15 წლისა ღებულობს სრულ ხარჯზედაც **პანსიონში.**

მოლაპარაკება მასწავლებელთან შეიძლება ყოველ დღე, სანამ შეივსებოდეს აღნიშნული რიცხვი მოწაფეებისა.

Адресъ: Семеновская ул., д. 23, Кв. 1. входъ съ подъѣзда, нижній звонокъ, спросить учителя.

А съ Елизаветинской ул. д. № 38. (недалеко отъ памятн. Воронцову). (თ. 1084.109)

---

**დოქტორი მედიცინისა**

## ი. ე. თიკანაძე

სამკურნალო აკადემიის სამშობიარო და სადოსტაქრო კლინიკების ორდინატორად ნამყოფი, იღებს ფეხმძიმეთ, დედათაბუნების, სადოსტაქრო და საშარდე ორგანოთა (ვენერიულის გარდა) სნეულებით ავადმყოფ მანდილოსნებს. ყოველ დღე საღამ. 5—7-მდის, კიროჩნის ქ. სახ. № 18, თავ. ვაჩინაძის, ოფიცერთა ეკონომიურ საზოგადოების მაღაზიის პირდაპირ.

საშარდე ორგანოთა სნეულებით ავადმყოფნი მხოლოდ ხუთშაბათობით და კვირაობით მიიღებიან. ტელ. № 1182. (თ. 1591 126)

---

**ექიმი** **შ. ა. მიქელაძე** იღებს **შინაგან და ბავშვთა სნეულებიან** ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ.—$6^1/_2$ საათ. კახეთის ქ., №

---

**საგურთალოზე**

**მშვენიერ ალაგას,**

ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის მახლობლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ოთხკუთხ **საჟენი 80 კ.-დან.**

მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე **თაქთაქიშვილს,** დილის 6 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ **თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ვალი,** თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა. (წ. 1147 255)

---

## ქართულ სიტყვა-კაზმულ მწერლობის საზოგადოება

აცხადებს, რომ სალიტერატურო კრებულ „გრდემლის“ მეორე წიგნისთვის

**მასალები მიიღება მარტის ბოლომდე.**

კრებულის გამოცემა განზრახულია სამაისოდ.

მისამართი: ოლგის ქუჩის შესახვ. № 5 გ. რცხილაძეს. (10.1124.9)

---

**გამოვიდა და იყიდება**

ქართ. შ. წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოების

**წიგნის მაღაზიაში**

ქართულ სიტყვა-კაზმულ მწერლობის საზოგადოების

**სალიტერატურო კრებული**

**„გ რ დ ე მ ლ ი“**

**ფასი 1 მ. 50 კ.** (თ.1098.29)

---

**დოქტორი მედიცინისა** ბერლინის უნივერს. **გ. გ. მეგრაბიანცი**

**წამლობა ჭლექისა** ფილტვებისა, ძვლებისა, და სხვა ორგანოთა **ტ უ ბ ე რ კ უ ლ ი ნ**

შინაგან სნეულებით ავადმყ. მიღება ყოველ-დღე დილ. 9—11 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე. კათოლიკეთა ქუჩა, № 10. ტელეფ. 792. (თ.100—1534—173)

---

## ვაგზლის კერძო სამკურნალო

**გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.**

ვაგზლის ქუჩა. № 8. ტელეფონი № 695.

**ე. ს. ვაშაკიძე.** ყოველ დღე, შინაგან ავადმყ. $9^1/_2$ ს. 10 ს,

**ა. ნ. დიასამიძე** ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ, კანისა და ვენერ. 11 12 ს.

**ბა. პოპოვი** ყოვ. დღე, კვირ. გარდა ყელ, ყურ. და ცხვ. სნეულ. 11 $11^1/_2$.

**შ. ა. მიქელაძე** შინაგან და ბავშვთა ავადმყ. 1 2 ს.

**ნ. მ. მელიქიშვილი.** ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1 2 ს.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით

**წამლობა „606“-ი**

(წლ. 1090 293)

---

**ელექტრონისა და რენტგენის**

**ს ა მ კ უ რ ნ ა ლ ო**

**მიხ. გედევანიშვილისა**

ავადმყოფებს იღებს ყოველ-დღე დილ. 12—1 ს., საღამოს 6—7 ს., გაშინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით. ვერა, ყორღანოვის ქ., № 20. (წ. 1249 97).

---

**ექიმი** კ ბ ი ლ ი ს ა **ალ. სოლოღაშვილი**

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 9-2 საათ. და საღ., 5—7 ს-მდე. გოლოვინის პრ., № 12. სახლი მდივნისა.

---

**ექიმი** **ი. ი. ბერიშვილი**

სწამლობს **საშარდე** ორგანოთა, **ათაშანგისა** და **კანის** ავადმყ.; **ვასსერმანის** რეაქციით იკვლევს ათაშანგისაგან მოწამლულ სისხლს.

მიღება ნაშუადღ. 3—$5^1/_2$ ს. **ელისაბედის** ქ., № 94, საფოსტო განყოფი. პირდაპირ. (25—249—15)

---

**ექიმი** **კბილისა და ღრძილებისა** **პ. ა. ქაჯაია**

იღებს ავადმყოფებს დილით 8—2 ს. საღამოთი 3—7 საათამდე. ელისაბედის ქუჩა, № 151 (დიდუბე). (თ.—1049—45)

---

**ექიმი** **ე. ი. მინასიანცი**

შინაგან, ბავშვთა, კუჭისა და ნაწლევ, სნეულებათა, პარიზელ პროფეს. Mathieu-ის სპეციალურ კლინიკიდან. ღებულობს დილ. 9—11 ს.-დე და საღ. 6—7 ს.-დე ელისაბედის ქ., № 39, ტელეფონი № 1067 (100—1117—114).

---

**ექიმი** **პ. ა რ დ ა ზ ი ა ნ ი**

შინაგან და ბავშვებ. ავადმყოფ. (სპეციალ. ფილტვების სნეულება, სისხლის ნაკლულება, რევმატიზმი—ქარები). ტფილისი, ალექსანდროვის ქუჩა, № 3. დილის 9—12 საღამოს 5—7. (25.1045.66).

## სამკურნალო

სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის. ვანქის დიდ ქუჩაზე, №3. ალექსანდრეს ბაღის მახლობლად. ტელეფონი № 483.

**ფასი რჩევისათვის 50 კაპ.**

ავადმყოფთა მიღება 9½-დან 5 ს.-დე.

**ასპისოვი.** ცხვირ., ყელ. და ყურისა. ყოველ-დღე. 1—2 საათამდე.

**ბოჟოვსკი.** ორშ., ოთხშ., პარასკ.. კვირ. 4—5 საათ.

**არგუთინსკი,** შინაგ., ბავშვ. ყოველ დღე 9½ სათ. 11 ს.

**მონსე.** ბავშვთა, შინაგ. ავადმყ. ორშაბ., ოთხშაბ., პარასკ. 1½—3 საათ.

**ნოვიცკი.** ქალთა ავადმყ., ყოველ დღე 1—2 საათ.

**კალამკაროვი.** ქალის ავად. ყოველ-დღე გარდა ხუთშაბათისა, 12—1 სათ.

**გრეიცი.** თვალისა, 1—2 საათამდე.

**უკლადნიკოვი.** შინაგ. ავად. სამშ., ხუთშაბ. 4—5 საათ.

**რიდელი.** შინაგ. ავად. და ბავშვ. ყოველ დღე, გარდა ხუთშ. და კვირისა 12—1 საათ.

**თეთრაძე.** სიფ., ვენერ., კან. ყოველ-დღე 1—3 საათ.

**ჩუდნოვსკი ი.** ნერვ., სულ., ელექტროტერაპია, ყოველ-დღე გარდა კვირა-უქმისა 11½—1 საათ.

**ბალდინა-ნოვიცკაია.** ყელისა, ყურისა, ცხვირ. ყოველ დღ. 11—12 ს.

**რუდენკო.** შინაგ. ხუთშ. და კვირ. 3—4 ს.

**ვესელოვზოროვი** ქირურგ. ავად. ყოველ დღე 2—3 საათ.

**ერმოლაევი**—ბავშვ., შინაგან.-ყ. დღ. 1-2 ს.

**ტერ-ნერსესოვი.** ქირურგ. ყოველ დღე გარდა ხუთშ. 1—1½ ს.

**იოსელიანისა** ქალთა ავად., ორშაბათ. ოთხშ., პარასკ., კვირა 11—12 საათ.

**ბაგდოევისა,** კბილ. ყოველ დღე 3—5 ს.

**ლიმონი.** კბილ. 10—1 ს.

**კუნთებში შეუშხაპუნებენ და ძარღვებში შეუშვებენ „606"-ს საღამოს 5—7 საათამდე.**

კონსულტაცია, მასაჟი, ყვავილის აცრა, ოპერაცია, ანალიზი, ჰიპნოზი, ძიძებისა და მოსამსახურეთა გასინჯვა შეთანხმებით. სიფილისის თაშანგის) გამოკვლევა სისხლში პროფ. ვასსარის შრატით. შარდის სადენთა ცისტოსკოპია და კატეტერიზაცია. (თ. 1032—61).

**ექიმი ა. ნ. დიასამიძე** კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—3 ს. საღამ. 6 7 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8 9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ. № 3, ს. გაბაშვილისა. (უ)

**ექიმი კბილისა ნინო რცხილაძე** მიიღებს ავადმყოფებს დილის 10—2 ს.-მდე და საღამოს 5—7 ს. ადრესი: ოლღას ქუჩის შესახ. № 5.

**ექიმი დ. სურამში აპოლონ ლუკას ძე ტყემალაძე** იღებს ავადმყოფებს ყოველ დღეს. (თ.—235—20)

**ექიმი ქ. ქუთაისი. იროდიონ ამბროსის ძე ცეხანოვსკი** ღებულობს შინაგან საშარდე, სასქესო, ვენერიულ სენით და სიფილისიან ავადმყოფებს დილის 10—12 და სალ. 5—7 ს., ქარავან-სარაის და მიხაილოვის ქ. კუთხე სასტუმრო „ლონდონი". (თ.— 129—13).

**ექიმი მ. ვაშაკიძე** იღებს შინაგან სნეულებით ვადმყოფებს, დილით 3—9 ს., საღამოთი —7 ს. ბაქოს ქ. № 12 ს. (9—55.


# თავად-აზნაურთა საქმეების გარშემო

1.

თავად-აზნაურთა საქმეების გარშემო დავაა ატეხილი. ებრძვიან ერთმანეთს ერთის მხრით დეპუტატთა საკრებულოს დღევანდელი ხელმძღვანელნი, მეორის მხრით **ვილაც**-ვამბობთ **ვილაც,** რადგანაც ჯერ-ჯერობით გამორკვეული არ არის, რას წარმოადგენს ის ელემენტი, რომელიც დღევანდელ მესვეურებს ებრძვის, რა იდეიური, პრინციპიალური მოსაზრება ამოძრავებს, რა ძირითადი წინააღმდეგობა უდევს სარჩულად იმ ელემენტებს, რომლებმაც თავიანთი თავი უკვე „ოპოზიციონერებად" მონათლეს. ამის გამორკვევა კი ფრიად საყურადღებო სურათს გადაგვიშლიდა, და ჩვენც ვცდილობდით საკითხი ისე დაგვესვა, რომ ორივე მხარეს თავისი ფიზიონომია მთელი სიგრძე-სიგანით გამოეჩინა. საუბედუროდ, „ოპოზიციონერებმა" ვერც ერთხელ ვერ მოახერხეს ამ პრინციპიალურ სიმაღლემდე ასვლა. კამათი კერძო ნიადაგზე ალმოცენდა და დღემდის კერძო კინკლაობის ფარგლებში ტრიალებს. მიუხედავად ამისა, ის, რაც დღეს ჩვენს გარშემო ხდება, ფრიად საინტერესოა. ახლოვდება სახელმწიფო სათათბიროს არჩევნები, მსოფლიო მნიშვნელობის ამბები ხდება მთელ ევროპაში, და სწორედ ამ დროს ჩვენი საზოგადოების ერთი ნაწილის ყურადღება მხოლოდ თავად-აზნაურთა საქმეების გარშემო ტრიალებს: რა მოხდა? ისე რა შეიცვალა ერთბაშად, რომ რუსულად აწყობილმა ქართულმა გაზეთებმა მიმდინარე ცხოვრება დაივიწყეს და მთელი გულის-ყური დეპუტატთა საკრებულოს მიაპყრეს?

არაფერი არ მომხდარა. მხოლოდ თავად-აზნაურთა წინამძღოლებზე ასარჩევი. აი ეს იწვევს შეუწყნარებელ პოლემიკას, ეს იწვევს ერთმანეთის გათახსირებას, ლაფში ამოსვრას; ეს იწვევს „ოპოზიციონერთა შორისაც უნიადაგო და უაზრო გაბოროტებას ყველა იმათთადმი, რომელთაც რაიმე, თუნდაც დაშორებული კავშირი აქვთ თავად-აზნაურთა დაწესებულებებთან. სანთლითაც რომ ეძებოთ, ვერსად პრინციპის ნასახსაც ვერ იპოვით.

ამისთანა პირობებში ნუღარც გაუკვირდებათ „ზაკავკაზიე"-ს, „ზაკავკ. რეჩ"-სა და „თემს", რომ ჩვენ მხოლოდ მაყურებელსავით შევცქეროთ შორიდან შეუსაბამო პოლემიკას. დარწმუნებული ბრძანდებოდეს ბ-ნი „პჩელა"-ც, რომ პირადი მეგობრობა კიდეც რომ არსებობდეს ჩვენს თანამშრომელთა და ბ-ნ გ. დიასამიძეს შორის, ჩვენ მაინც მტკიცედ ვიდგებით ჩვენს პოზიციაზე, რომელიც, მგონი, ყველასათვის ცხადი უნდა იყოს, და ყოველთვის აღვნიშნავთ შეცდომებს, საიდანაც არ უნდა წარმოდგებოდეს ეს შეცდომები.

მაგრამ, რადგანაც პოლემიკა გაიმართა, ჩვენ ერთხელ კიდევ შევეცდებით გამოვარკვიოთ ჩვენი პოზიცია. საჭიროდ მიგვაჩნია ეს არა მარტო იმიტომ, რომ თავად-აზნაურობის საქმეების გარშემო ატეხილი დავა იყოს საინტერესო, არამედ უფრო იმიტომ, რომ ეს დავა ჩვენი საზოგადოებრივი იდეალებისა და საზოგადოებრივ ჯგუფთა დიფერენციაციის საუკეთესო მომასწავებელია. დროთა ბრუნვამ ძველი იდეალები დაამხო, დღევანდელმა პოლიტიკურმა მდგომარეობამ შეარყია საზოგადოებრივი აზროვნება, დაქსაქსა; და აი, ამ საერთო დაქსაქსულობის დროს ჩნდებიან ჯგუფები, რომელნიც რაღაცას დაეძებენ, ვიღაცას ებრძვიან; ზოგი „დემოკრატობას" იჩემებს, ზოგი ნაციონალურ ინტერესებს ესარჩლება და სხვა. მომაკვდავი, სულთ-მობრძავი საზოგადოებრივი აზრი წინააღმდეგობათა ლაბირინტში ფართხალებს და თავი ვერ დაუღწევია. ამ საერთო დაქსაქსულობას, ცნებათა არევ-დარევას მარტო ეხლა არ უჩენია თავი. იგი იბადებოდა მაშინ, როდესაც „განმათავისუფლებელ მოძრაობის ლიკვიდაცია ხდებოდა და ვითარდებოდა, მაგრდებოდა მაშინ, როდესაც რეაქციამ უმაღლეს წერტილს მიაღწია. საზოგადოებრივ აზრის უთავბოლო ხეტიალმა იჩინა თავი საქალაქო არჩევნების დროს, ასეთივე უთავბოლო ხეტიალი ემჩნევა მას დღეს, სათავად-აზნაურო საქმეების გამო ატეხილ კამათის დროს; უეჭველია ასეთივე ხეტიალი შეემჩნევა მას სათათბიროს არჩევნების დროსაც.

რომ კამათს პრინციპიალური ხასიათი მივცეთ, სრულიად უყურადღებოდ დავსტოვებთ კერძო მომენტებს. შეუსაბამოდ მიგვაჩნია იმის მტკიცება, თითქოს მთელი ბოროტება იქიდან წარმოსდგებოდეს, რომ დღეს თავად-აზნაურთა წინამძღოლად ივანეა და არა პეტრე. ეს საკითხის დაწვრილმანებაა.

„ოპოზიციამ", თუ მას რაიმე გარკვეული ფიზიონომია აქვს, ჯერ საზოგადო პრინციპების შეფასებიდან უნდა დაიწყოს საქმე, გაითვალისწინოს მნიშვნელობა და დანიშნულება თავად-აზნაურთა ინსტიტუტისა, გარკვეული შეხედულება შეიმუშაოს ამ ინსტიტუტის შესახებ; თანახმად ამ შემუშავებულ შეხედულობისა შეადგინოს დაწვრილებითი გეგმა მოქმედებისა და მხოლოდ მაშინ, სულ ბოლოს, გამოსძებნოს ისეთი კანდიდატი, რომელიც ამ პროგრამის განხორციელებას მოახერხებს. ჩვენი „ოპოზიცია" კი ბოლოდან იწყებს; იგი მხოლოდ წინამძღოლთა ადგილებს მისჩერებია და ჰგონია, რომ თუ ერთი წინამძღოლის მაგიერად მეორე დასვა, სიკეთე და სათნოება დამყარდება საქართველოში.

ესეთი პოზიცია მხოლოდ იმას ამტკიცებს, რომ ეგრედ წოდებულ „ოპოზიციონერებს" თითონაც ვერ გამოურკვევიათ, რანი არიან, თავად-აზნაურობისაგან რას მოითხოვენ, რა მოსწონთ, და რა არა. იგი პრინციპიალური პოზიცია არ არის.

**არ. ჯ—შვილი.**

# ქართული პრესა

თავად-აზნაურთა საქმეების გამო „ბათუმის გაზეთი" სწერს:

„ბ-ნი არჩილ ჯორჯაძე „სახალხო გაზეთში" მოთავსებულ თავის გრძელ წერილში ამ კითხვის შესახებ სწერს, რომ თავად-აზნაურთა წრეში დაიბადა აზრი ტფილისის ქართულ გიმნაზიის გაუქმების შესახებ. ამას გარდა, სწერს ბ-ნი არჩილი, თავად-აზნაურთა კრებებიდან ქართული ენა განდევნილია თვით თავად-აზნაურთაგანაო. ეს ორი დებულება მოჰყავს ბ-ნ არჩილს იმის დასამტკიცებლად, რომ არც „ოპოზიცია" და არც საქმის მესვეურნი ეროვნულ-დემოკრატიზმით არ არიან გამსჭვალულნი. ბოლოს ის რჩევას იძლევა, რომ მოახდინონ რეორგანიზაცია ოპოზიციისა.

ოპოზიცია უნდა დამყარდეს პრინციპების ნიადაგზე და არა პირადი კინკლაობისა. საჭიროა თავად-აზნაურთაგან ეროვნულ-დემოკრატიული ჯგუფის შედგენაო. ასეთია ბ-ნ არჩილის და, მაშასადამე, „სახალხო გაზეთი"-ს აზრი".

ამის შემდეგ „ბათომის გაზეთი" „გვიმტკიცებს", რომ თავად-აზნაურობა ეროვნულ ინტერესების დამცველად ვერ გამოდგებაო. „სახალხო გაზეთი" რა აზრისაც არის ამის შესახებ, მგონია, ყველას ადვილად შეუძლიან გაიგოს, თუ მოისურვებს გაგებას. ჩვენ არასოდეს იმედები არ დაგვიმყარებია თავად-აზნაურობაზე და არც სხვა დროს დავამყარებთ. ძალიან კარგად ვიცით ფასი და მნიშვნელობა ამ წოდებისა, და ამიტომ „ბათუმის გაზეთი"-ს დარიგებას არ ვსაჭიროებთ. არც ბ-ნ არჩილ ჯორჯაძეს უთქვამს, ჩვენ თავად-აზნაურობაზე ვამყარებთ იმედებსაო. ბ-ნი არჩილ ჯორჯაძე მხოლოდ ახასიათებდა ორ მებრძოლ ჯგუფს და ამბობდა, თუ ოპოზიციასა სურს ნამდვილ ოპოზიციად გახდომა, პირადი ანგარიშებით არ უნდა გამოვიდეს ბრძოლის ველზეო. ასეთს პრინციპიალურ ნიადაგზე დამყარებული ოპოზიცია ეროვნულ-დემოკრატიულ ინტერესების სრული მაღიარებელი ვერ იქნება, მაგრამ დეპუტატთა საკრებულოს მოქმედების პრინციპიალურ ოპოზიციად კი შეიძლება გადაიქცეს. თუ ჩვენი გაზეთი რომელიმე ჯგუფს ურჩევს, იყავი უკეთესი, ვიდრე ხარო, განა ეს იმას ნიშნავს, რომ ამ ჯგუფს თანავუგრძნობთ, ან მასზე ვამყარებთ ჩვენს იმედებს? ეს მხოლოდ „ბათუმის გაზეთი"-ს გულუბრყვილო პუბლიცისტებს თუ ჰგონიათ ასე. რამდენად დამახინჯებულად ესმით სხვის ნათქვამი „ბათუმის გაზეთი"-ს პუბლიცისტებს, ამას მაშინ უფრო კარგად დავინახავთ, თუ ბ-ნ არჩილ ჯორჯაძის სიტყვებს გავიხსენებთ. იგი სწერდა:

„იქნებ ერის დღეგრძელობისთვის იგი მართლაც უმნიშვნელო იყოს, **რადგან ერი თავის სიღრმეში ჰპოვებს ძალას, რომ გაუმკლავდეს ამ ხასიათის ავადმყოფობას,** (კურსივი ჩვენია) მაგრამ თქვენთვის, თქვენი პოზიციისთვის, რომ უმნიშვნელო არ არის"!

გაახილეთ თვალები და კარგად წაიკითხეთ.

# სახელმწიფო სათათბირო

**დეპეშები**

**როძიანკო თავმჯდომარეობდა.**

მინისტრთა ლოჟაში **სინოდის ობერ-პროკურორი** ზის. განაგრძეს საზოგადო კამათი სინოდის ხარჯთაღრიცხვის გამო.

**კროპოტოვი.** ახლანდელ დროში ეკლესია სახელმწიფოს მონა-მოსამსახურეა და იარაღი განსაზღვრულ საპოლიტიკო აზრების გასავრცელებლად. „შრომის ჯგუფელთა" აზრი ყოველთვის ასეთი იყო და იქნება: სახელმწიფო ეკლესიას არ უნდა აძლევდეს ფულსა და ამიტომ წინააღმდეგნი ვართ სინოდის ხარჯთაღრიცხვისაო.

**ეპისკოპოსს ევლოღს** საჭიროდ მიაჩნია საეკლესიო კრების მოწვევა, რაიც, სხვათა შორის, ეპისკ. გერმოგენის საქმესაც გაარჩევსო. სათათბირო ყოველთვის ეხმარებოდა ეკლესიას, მხოლოდ სარწმუნოების პროექტების განხილვის დროს გაბატონებულ ეკლესიის პირველობა არ აღიარა მტკიცედაო.

**გუჩკოვი** შეეხო რასპუტინს და სთქვა, იგი მარტო არ არისო. ეკლესია დაღუპვის გზას დასდგომია, შველაა საჭიროო. გეგეჭკორი მართალი იყო, როდესაც სთქვა: რასპუტინი სასარგებლო კაციაო. დიახ, სასარგებლოა გეგეჭკორის მეგობრებისათვის იმდენად, რამდენადაც საძაგელი და საზიზღარია. რუსეთის მატიანეში ასე ჩასწერენ: 1911 და 1912 წლებში, დეისტვიტელნი სტატსკი სოვეტნიკ ვლადიმერ კარლოლოსის ძე საბლერის ობერ-პროკურორობის დროს, მართლმადიდებელთა ეკლესია საშინლად დაეცა. ყველამ იცოდეს, რომ ობერ-პროკურორს საბლერს არ აუსრულებია მოვალეობა ამ დუხჭირ გარემოების დროსა (მემარცხენეთა და ცენტრელების ტაში, მარჯვნივ-სტვენა).

სინოდის **ობერ-პროკურორმა განაცხადა:** ყოველთვის ვასრულებდი მოვალეობას და მეფის ერთგული ვიყავ. ამიტომ სრულიადაც არ მეშინიან ზოგიერთების გაურკვეველ ბრალდებისა და გმობისაო.

**როზანოვს** საჭიროდ მიაჩნია ეკლესიის სახელმწიფოსაგან ჩამოშორება, ეკლესიისავე ღირსების დასაცავად. მოლაპარაკეს საჭიროდ მიაჩნია აგრეთვე, რომ საეკლესიო უწყებას ჩამოერთვას განქორწინების საქმე და თავის აზრის დასამტკიცებლად რამდენიმე მაგალითი მოჰყავს.

**მღვდ. გეპეცკიმ** აღნიშნა, სამღვდელოების უზრუნველსაყოფად სახელმწიფოს არა გაუკეთებია რაო.

**მღვდ. მანკოვსკი** დიდი მომხრეა საეკლესიო კრების მოწვევისა, მაგრამ ჯერ მომზადებულნი არა ვართ საამისოდ, საჭიროა გეგმის შედგენაო.

**მღვდ. ვოლკოვი პირველი** სამღვდელოების ნივთიერ უზრუნველყოფას მოითხოვს. თუ ამ საკითხის გადაწყვეტა ვერ შესძლო მესამე სათათბირომ, იმედია, შემდეგი სათათბირო მეტის ყურადღებით მოეპყრობა ამ საქმესაო.

საპირადოს გამო ილაპარაკა **გეგეჭკორმა,** უპასუხა გუჩკოვსა და ეპისკ. ევლოღის.

**ზახარიევის** მოხსენებით სწრაფად განიხილეს და მიიღეს ქ. ნოვოჩერკასკში 1892 წლის საქალაქო დებულების შემოღების კანონ-პროექტი.

შემდეგი სხდომა შაბათს მოხდა.

# სახელმწიფო საბჭო

**აკიმოვი** თავმჯდომარეობს.

საბჭომ მიიღო კანონ-პროექტი ადგილობრივ დაწესებულებათა ვალებისა: 46, 529, 357 მანეთის პატიებისა, რომელიც სათადარიგო ჯარის-კაცთა ოჯახების შესანახად დაიხარჯა და ასეთივე მიზნისათვის ადგილობრივ თანხიდან 1.629,164 მანეთის მოხმარებისა. განაგრძობენ სამოსამართლო დაწესებულებათა დადგენილებათა პროექტის განხილვას. მუხლები, რომელნიც მომრიგებელ მოსამართლეთა არჩევის წესებსა და მათ მდივანთა სამსახურის ვადას განსაზღვრავს.

კამათი გამოიწვია იმ მუხლმა, რომელიც საპატიო მომრიგებელ მოსამართლეს აკისრებს მართლმსაჯულებას, თუ ორივე მხარე მიჰმართავს. ეს მუხლიც და მომრიგებელ მოსამართლეთა კრებისა და მოსამართლეთა უფლებათა და პასუხისგების შესახებ მუხლებიც კომისიის რედაქციით მიიღეს.

76-ე მუხლის გარჩევის დროს **კობილინსკის** წინადადება შემოაქვს, იუსტიციის მინისტრს უფლება ჰქონდეს დროებით გადააყენოს მოსამართლენი, ვიდრე სენატი თვის გადაწყვეტილებას გამოიტანდესო. წინადადება უარჰყვეს.

საბჭომ მიიღო კომისიის მიერ შემუშავებული ცვლილებანი შესახებ იმ მუხლებისა, რომელნიც სამოსამართლო დაწესებულებათა თვალყურის დევნებისა, სამოსამართლო უწყების მოხელეთა პასუხის მგებლობის და სხვათ ეხება. მთელს პროექტს მიიღებენ მესამე წაკითხვის დროს.

შემდეგი სხდომა 13 მარტს მოხდება.

# ახალი ამბავი

## ტფილისი

✦ **დ. ვ. ბეზობრაზოვს,** სახელმწიფო ბანკის ტფ. კანტორის გამგეს, რომელიც ამ ჟამად პეტერბურგშია, როგორც ხმები დადის, უმაღლეს ადგილს აძლევენ-საფინანსო აგენტობას პარიზში.

✦ **ნამესტნიკის თანაშემწე გენერალი ნ. პ. შატილოვი** ბათომიდან ტფილისს დაბრუნდა.

✦ **ვ. ა. ვერმიშევის „ხელსაქმის კლასების" გამოფენა,** რომელიც ამ დღეებში გაიხსნა, ნამესტნიკის თანაშემწემ სენატორმა მ. ა. ვატაციმ, ნამესტნიკის კანცელაარიის დირექტორმა ნ. ლ. პეტერსონმა და გუბერნატორმა ა. გ. ჩერნიავსკიმ დაათვალიერეს.

✦ **თავად-აზნაურთა კრება.** ტფ. გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლმა გუბერნატორს სთხოვა, ნება დართოს გორის მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლს, 18 მარტს გორში მაზრის თავად-აზნაურთა კრება მოიწვიოს.

✦ **ტფ- ბებია-ქალთა საზოგადოებას** საერებო თანხიდან 500 მან. მიეცა დედათა საფერშლო სკოლის შესანახად.

✦ 11 მარტს **საბავშვო კითხვები** შესდგება შემდეგ აუდიტორიებში:

**1. საექიმო დარბაზში** წაიკითხავს ქ-ნი ბარნაბიშვილი „ღვთის წყალობა.

**2. ავჭალის აუდიტორიაში**—ქ-ნი ნასიძე „დანგრეული ბუნაგი."

**3. ნათლულში**—ქ-ნი ჟურული „იავ-ნანამ რა ჰქმნა."

**ნაძალადევში**—ქ-ნი გონიევა ედიტა და ქურდი„ და „თომას თავგადასავალი."

**5 ავლაბარში**—ქ-ნი ჯარიაშვილი „ნიშანი". დასაწყისი 1 საათზედ.

**ხარფუხში:**—ბ. ლაშქარაშვილი წაიკითხავს „ქრისტოფორე კლუმბი," დასაწყისი 11 საათზედ.

✦ **ახალი წიგნი.** რედაქციამ მიიღო საინტერესო წიგნი „ეტიუდები მე XIX საუკუნის ქართულის ლიტერატურის შესახებ", კიტა აბაშიძისა. წიგნს დართული აქვს ავტორის სურათი და მოთავსებულია შემდეგი განყოფილებები: 1) წინასიტყვაობა, 2) თ-დი ალექსანდრე ჭავჭავაძე, 3) თ-დი გრიგოლ ორბელიანი, 4) თ-დი ნიკოლოზ ბარათაშვილი, 5) თ-დი ვახტან ორბელიანი, 6) თ-დი გიორგი ერისთავი, 7) თ-დი ილია ჭავჭავაძე და 8) დამატება. წიგნი ქუთაისშია დაბეჭდილი. მოზრდილის ფორმატისაა, შეიცავს 274 გვერდს და ღირს 70 კაპ.

✦ **ლექცია.** დღეს, 11 მარტს სახალხო სახლში მოსე ჯანაშვილი წაიკითხავს ქართულს ენაზე ლექციას შემდეგს თემაზე: „ქართველთა ისტორიის და მის წყაროების საზოგადო განხილვა" (მოხსენება მესამე). ლექციის შინაარსი შემდეგია:

I, **სამართალი:** ა) ბიბლიური. ბ) რუისის კრების დადგენილებანი, მცირე სჯულის კანონი და ნომოკანონი, გ) ბაგრატის კანონები, ე) გიორგი ბრწყინვალის, აღბუღას და ვახტანგის კანონები, ვ) სადაო საქმის გარჩევა ბაგრატ IV-ისაგან, ზ) მე-IX საუკ. გუჯრის შინაარსი. II. **დრო-ჟამის გამოანგარიშება:** ა) ძველის დროის და მერე, ბ) მზის საათი, გ) 941 წლ. კრებული, დ) ქორონიკონი. ე) ციფირები. III. **მკურნალობა:** ა) ოთხი სტვიქისი ბუნებაში, ბ) სამნი ძალნი სიცოცხლის მე-X საუკ. ძეგლით, გ) მაჯა. IV. **ზნეჩვეულებანი:** ა) სტუმართ მოყვარეობა, ბ) გალობა და სამუსიკო საკრავები (სულ 25) გ) მე-X საუკ. საგალობელნი ნოტების ნიშნებით და სხვა. ლექცია დაიწყება დილის 10½ საათზე. ადგილების ფასი 5-დან 10 კაპეიკამდე.

✦ **სახალხო უნივერსიტეტის** სასარგებლოდ დღეს სახალხო სახლში ლექციას წაიკითხავს რუსულ ენაზე ი. პალმოვი. ლექციის ტემა: მ. ე. სალტიკოვ - შჩედრინი". დასაწყისი დილის 11½ საათზე.

✦ **მხატვარი კოტე ქავთარაძე,** სანამ საზღვარ გარედ გაემგზავრებოდეს, ერთი წრის თაოსნობით, რომელსაც სათავეში ექიმი ვახ. ღამბაშიძე უდგას, მოივლის მთელ საქართველოს კუთხეებს. ზემოხსენებულ წრეს დაუვალებია დახატოს ტიპები: თუშებისა, ხევსურებისა, ფშაველებისა, კახელებისა, ქართლელებისა, იმერლებისა, რაჭველებისა, გურულებისა, აფხაზებისა, მეგრელებისა, სვანებისა და სხვა. წრეს განუზრახავს დიდი ალბომის გამოცემა, რომელზედაც ხელის მოწერას გამოაცხადებს. კოტე ქავთარაძე ნაადდგომევს გაემგზავრება ბათუმისაკენ. შემდეგ ჩამოჰყვება და მაისის პირველამდე დაასრულებს განზრახულ საქმეს.

✦ კავკასიის სამხედრო-საოლქო სასამართლოს **ბრალმდებელი აფანასოვიჩი** გადაჰყავთ კორეივოს ადგილზე.

✦ **რუს ამომრჩეველთა სია.** გუბერნატორის შეკითხვაზე გუშინ ქალაქის მოურავმა გუბერნატორს წარუდგინა რუს ამომრჩეველთა სია, რომლიდანაც სჩანს შემდეგი: საქალაქო საარჩევნო სიაში შეტანილი ყოფილა: პირველ უბანში—256, 2—194, 3—57, 4—102, 5 460, 6—57 და 7—99, სულ 1,225, არჩევნებში მონაწილეობა მიუღია: პირველ უბანში—91, 2—24, 3—14, 4—32, 5—159, 6—22 და 7—36, სულ 375.

✦ 8 მარტს, საღამოს 10 საათზე, არამიანცის საავადმყოფოში **გარდაიცვალა** სარქის ბაიანდუროვი, რომელიც ამავ დღეს თავისმა ძმამ დასჭრა.

✦ **ქალაქის გამგეობის წევრს თავ. ნ. ი. არღუთინსკი-დოლგორუკოვს,** როგორც ვწერდით, სამსახურის ვადა გაუთავდა. ახალ წევრის არჩევა დანიშნულია ორშაბათს, 12 მარტისთვის. საბჭოს კრების დაწყებამდე ხმოსნებს ამ საგნის თაობაზე კერძო თათბირი ექნებათ. როგორც გავიგეთ, კანდიდატათ კვლავ თავ. არღუთინსკი-დოლგორუკოვს ასახელებენ.

✦ **ხ. მ. ყარა-მურზას სახსოვრად** 12 მარტს საზოგადო კლუბში სომხური კონცერტი გაიმართება სომეხ მომღერალთა გუნდის დამაარსებლის მ. ყარა-მურზას გარდაცვალების ათის წლის თავის აღსანიშნავად.

✦ **ფარულად საქონლის დაკვლისათვის** გუშინ ქალაქის მეორე უბანში სამს ყასაბს ოქმი შეუდგინეს.

✦ **ქალაქის ლომბარდის** 25 წლის მოქმედების მოკლე აღწერა ქალაქის თვითმმართველობამ წიგნაკად გამოსცა.

✦ **ავტომობილების ზოგიერთს მეპატრონეს** დღემდე ქალაქის კასაში არ შეუტანია მასზე შეწერილი საავტომობილო გადასახადი. ამის გამო ქალაქის მოურავმა პოლიცმეისტერს სთხოვა, ქალაქში მუშაობის ნება არ მისცეს ასეთს პირებს.

✦ 9 მარტს ტფილისში 7 უპასპორტო შეიპყრეს.

✦ 19 მარტს სალდათის ბაზარში უეცრად ავად გახდა ტფ. მოქალაქე ბაგრატ დემუროვი 45 წლისა, რომელიც მიხეილის საავადმყოფოში წაიყვანეს, მაგრამ გზაზე გარდაიცვალა.

## საზოგადოებანი და კრებები

✦ **ქალაქის საბჭოს** მორიგი კრება ორშაბათს, 12 მარტს მოხდება. სხვათა შორის, განხილულ იქნება მოხსენება, რომ გამგეობის წევრს ნ. პ. ქოქჩაევს სამკურნალოდ შემწეობა მიეცეს.

✦ კავკასიაში **ქრისტიანობის აღმადგენელ** საზოგადოების საბჭოს კრება 8 მარტს მოხდა ეგზარხოსის თავმჯდომარეობით. კრებამ, რომელსაც ნამესტნიკის მეუღლეც დაესწრო, დაადგინა: 1) უარი ეთქვას კავკასის სასკოლო საბჭოს, რომელიც ოსურ სკოლებისთვის დამატებით ფულით გადადებას თხოულობდა, 2) დაავალოს ბაქოს ეპისკოპოს პიმენს, არდონის სასულიერო სემინარიის რევიზია მოახდინოს და 3) გადასდოს 100 მან. ალექსანდრეს სალოცავ სახლისთვის (ბორჩალოს მაზრაში) ზარის შესაძენად.

✦ **ტრამვაის მოსამსახურეთა შემნახველ-გამსესხებულ კასის წევრთა** საერთო კრება დღეს მოხდება ტრამვაის პარკში. განსახილველია კასის წლიური ანგარიში და სარევიზიო კომისიის მოხსენება. დასასრულ თანამდებობის პირთა არჩევნები მოხდება.

✦ **ქალაქის საბჭოს სახალხო ჯანმრთელობის** კომისიას 14 მარტს კრება ექნება.

## ქუთაისი.

✦ ქალაქის პირველ დაწყებითი სკოლების მასწავლებლებმა მთავრობის ნებართვით დაიარსეს **შემნახველ გამსესხებელი კასა,** რომელიც უკვე გახსნეს თებერვლის 22 რიცხვიდან. ჯერ ჯერობით კასაში ჩაეწერა ათი მასწავლებელი, საჭიროა მიიღოს მონაწილეობა ყველამ, რომელთა რიცხვი სულ ოც და ორია.

✦ მარტი ცუდი ამინდებით დადგა: ხუთ რიცხვამდე წვიმდა და მეტად ციოდა, ექვსიდან-კი გამოიდარა და გაზაფხულის დღეები დგას.

✦ შაბათს, 10 მარტს, ქ. ფოთში, ქალთა ადგილობრივი გიმნაზიის სასარგებლოდ გაიმართება დიდი მოურავის გიორგი სააკაძის **ლიტერატურული გასამართლება.** ბრალს დასდებს ჰ. უმბაძე, დაიცავს დ. უზნაძე, სააკაძის მაგიერ სიტყვას წარმოსთქვამს ჯ. ჯორჯიკია.

✦ ოთხშაბათს, 14 მარტს დ. ხონში სამოქალაქო **სკოლის სასარგებლოდ** მსახიობის ი. ზარდალიშვილისა და ა. შოთაძის ასულის მონაწილეობით გაიმართება წარმოდგენა.

✦ სოფელ ამაღლებაში (გურია), 5 მარტს რამდენიმე შეიარაღებული თავს დასხმია ზაქარია დოლიძეს. გაძარცვის დროს სახლისთვის ცეცხლი წაუკიდებიათ. ზარალი დიდია.

✦ ქუთაისის **სატუსაღოს უფროსმა** წერილობით მიჰმართა ქალაქის გამგეობას:—რა ფასებია ქალაქში პურსა, ხორცსა, სოკოსა და მჟავე კიტრზე.

✦ ახალ-სენაკის **საურთიერთო ნდობის საზოგადოებას** უკვე დაუწყია მოქმედება. საზოგადოების თავჯდომარედ აურჩევიათ ბ. ქავთარაძე.

✦ ქუთაისის გუბერნიის სახალხო და სამრევლო სკოლის გამგებს განუზრახავთ ქუთაისის გუბერნიის ზოგიერთ დაბა-ქალაქში სოფლის მასწავლებელთათვის **კურსები მოაწყონ.**

✦ 7 მარტს ოლქის სასამართლომ გაარჩია ანანოვის ტყის მცველის **ვარ-**

ლამ ბარდველაძის საქმე. ბრალდებოდა შარშან ლიკლიკაძის მოკვლა. სასამართლომ დამნაშავეთ იცნო და სამი წლით გამასწორებელი რაზმი მიუსაჯა. („კოლხ.“)

✦ ქუთაისის სამეურნეო სასწავლების მზრუნველს თ. პეტრე გ. წულუკიძეს, ამავე სასწავლებლის მმართველს ა. შარაშიძეს, მასწავლებელს ვ. ქიქოძეს და ბ. ნ. კალანდაძეს დაუდგენიათ გამოსცენ ქუთაისში ყოველ-კვირეული **სამეურნეო ჟურნალი**. ამ ჟურნალის რედაქტორებად ბ. შარაშიძე და თ. პ. წულუკიძე იქნებიან.

✦ 7 მარტს, პოლიციას ფერმის ტყეში შეუპყრია ორი კაცი, რომელთაც იარაღი აღმოსჩენიათ. მათი პიროვნება ჯერ არ არის შემოწმებული.

✦ სოფ. ფარცხაყანევიდან ჩამოყვანილი გლეხები, რომლებიც გუბერნატორის განკარგულებით დააპატიმრეს, ზოგი უკვე გაუნთავისუფლებიათ.

✦ 10 მარტს ტფილისის სამოსამართლო პალატის სესია გაარჩევს ნ. ჟორდანიას, კვიცარიძის, კაკაბაძის, ძიძიგურის, ნოდიას, ივასიუკის და ჩერედვიუკის საქმეებს. რომელთაც ბრალი ედებათ სისხლის სამართლის დებულებ. 129, 1632, 1545, 377 და 339 მუხ. ძალით.

✦ **ქუთაისის ქართულ დრამატიულ დასის რეჟისორს ბ. მ. ქორელს** განუზრახავს ეგრედ-წოდებული „მოძრავი თეატრი“ ს. დაარსება. ბ. ქორელს აზრად აქვს შექმნას ისეთი თეატრი, რომელსაც შეეძლოს საქართველოს პროვინციებისთვის სამსახურის გაწევა. დასი შესდგება ქუთაისში, აქვე მოამზადებს რამდენსამე შესაფერ პიესას და მოაწყობს ყველაფერს, რაც კი საჭიროა განზრახულ წარმოდგენებისათვის: სამგზავრო დეკორაციები, ავეჯი, ტანისამოსს და სხვ. „მოძრავი თეატრი“ აპრილის დამდეგში დაიწყებს მოგზაურობას და ამ გაზაფხულზე მხოლოდ იმერეთის დაბა-ქალაქებს ეწვევა.

### ბ ა თ ო მ ი.

✦ პეტერბურგიდან ბათომის **მოურავი თ-დი ანდრონიკაშვილი** დეპეშით იუწყება: „ბათომის კანონპროექტის განხილვას კომისია განაგრძობს. კომისია საქმის განხილვას მომავალ პარასკევს დაამთავრებს. მოსალოდნელია ასეთი დადგენილებანი მიიღონ: ბათომს ეპატიოს ყველა დარჩენილი სახაზინო გადასახადები 390 ათას მანეთამდე; ყოველწლიურად გადაიდოს 120,000 მანეთი ქალაქის ზოგიერთ ვალის გასასტუმრებლად, მაგალითად სანავთე ქალაქისა და სხვა. უკეთუ დარჩენილ გარდასახადების პატიება ვერ მოხერხდა, მაშინ 10 წლის განმავლობაში, ყოველ წლიურად მოემატოს გარდასახადებს 160 ათასი მანათი. ნავთსადგურის საამშენებლო საქმე ნავთსადგურის კეთება და აწ არსებული ხარჯები ისევ ნავთსადგურის შემოსავლიდან ისტუმრებოდეს“.

# დ ე პ ე შ ა

(საკუთარ კორესპონდენტისაგან)

**პეტერბურგი.**

სენატმა მოსპო ქუთაისის გუბერნატორ სლავოჩინსკის მიერ ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლის თ-დ ნიჟარაძის წინააღმდეგ აღძრული უკანასკნელი საქმე.

**პეტერბურგი.**

(საკუთარ კორესპონდენტისაგან)

„დაშნაკცაკანთა“ საქმის გამო ლიჟინმა სამსახურიდან გადადგომა ითხოვა. საქმე ირჩევა.

**სარატოვი.**

(საკუთარ კორესპონდენტისაგან).

აქ შეიპყრეს ზელიმხანის ამხანაგი გელოგაშვილი. უპოვნეს მიწაში ჩაფლული ნაძარცვი ბრილიანტები.

# კახეთის რკინის გზის აქციები და ადგილობრივ მცხოვრებთა ინტერესები

(დასასრული *)

ამნაირად, რაკი ეხლა თავად-აზნაურობას 400 ათას მანეთის აქციები აქვს, ადგილობრივ მცხოვრებლებმა კიდევ რომ 600 ათასი მან. აქცია მიიღონ (ვიმეორებ ხარჯთ-აღრიცხვაში უკვე ჩართულია 600 ათასი მანეთი, როგორც სასყიდელი ჩამორთმეულ ადგილ-მამულისა), აქციონერულ საზოგადოების კრებაზე ხმის უმეტესობა ადგილობრივ მცხოვრებთ ექნებათ და, მაშასადამე, წარმოების სრული ბატონ-პატრონიც ესენი იქნებიან, ვინაიდან—ვიმეორებ—აქციების მთელი ჯამი არ აღემატება 1,800 ათას მანეთს და ის გაიმარჯვებს საქმის გადაწყვეტაში რომელსაც 900 ათას მანეთზედ თუ გინდ ერთი აქციით მეტი ექნება; ადგილობრივმა მცხოვრებლებმა ჩამორთმეულ მამულის სასყიდლად რომ 600 ათასი მან. მიიღონ, მაშინ ჩვენ ადგილობრივნი მცხოვრებელნი ათასი აქციის პატრონი ვიქნებით (400+600).

მგონი, აქ ყველაფერი ცხადი და ადვილი გასაგებია.

მაშ, რად იწუხებენ თავს ტყუილა უბრალოდ თავ. ლ. დ. ანდრონიკაშვილი, ანდრეევი, ვ. ტყავაძე და ნ. ახმეტელოვი და არა სარწმუნო ცნობებს ავრცელებენ ხალხში, როცა ამ ხალხმა კარგად იცის თავის უფლებანი და მოვალეობანი? რა თქმა უნდა, არავინ ნებას არ მისცემს, რომ გლეხების ფული რუსეთ-აზიის ბანკმა მიითვისოს, მაგრამ ასეთ მფარველობისათვის თავად-აზნაურთა კომისიას, როცა იგი ხელწერილს ართმევდა მცხოვრებთ, არ მოუთხოვია არც 20% „გასამრჯელო“ და არც ათი ათასი მან. ჯარიმა პირობის დარღვევისათვის!

ამნაირად:

1. პ. ანდრეევი არ არის და არა გზით არ შეიძლება იყოს წევრი მთავრობის დამფასებელ კომისიისა, თანახმათ კანონისა (მ-X ტომი).

2. კერძო მესაკუთრეებმა და სოფლის კრებათაც კახეთის ყველა სოფლებში (ივრის და ალაზნის ხეობა) უკვე მისცეს თავ.-აზნაურთა კომისიას სრულიად შეგნებით და ძალდაუტანებლად კანონიერი ხელწერილი (და ამ ხელწერილს დღესაც იურიდიული ძალა აქვს), რომ ჩამორთმეულ მამულში, ნაღდი ფულის მაგიერ აქციებს მოითხოვენ და ამით აქაურმა საზოგადოებამ დაამტკიცა თავისი გამჭრიახობა.

3. ადგილობრივ მკვიდრთათვის გაცილებით უფრო სასარგებლო იქნება აიღონ აქციები, ნაღდი ფულის მაგიერ, და იმ ფასებს დასთანხმდნენ, რომელიც თავ.—აზნაურთა კომისიამ გამოაცხადა, ვინემ ათას გვარ ვალდებულებითა და ჯარიმებით შეიბოჭონ თავი და სასამართლოებსა და სხვა დაწესებულებაში, ანუ დავიდარაბაში ჩაებან, მით უფრო, რომ ყველა ის ხარჯი, რაც ამ ადგილების ჩამორთმევაში წავა, საზოგადო ხარჯთ-აღრიცხვაშია შეტანილი და აკლდება იმ 13 მილ. მანეთს, რომლითაც რკინის გზა უნდა გაკეთდეს: რამდენათაც მეტი მოაკლდება ამ თანხას, ცხადია, იმდენად ნაკლების ღირსებისა იქმნება გზა (ლიანდაგი, ხიდები და სხვ.) საჭიროა გვახსოვდეს, რომ მთავრობამ ნება არ დართო 13 მილ. მანეთზე მეტი დაიხარჯოს კახეთში რკინის გზის გასაყვანად; საჭიროა გვახსოვდეს ისიც, რომ თუ რამ გადარჩება გზის გაკეთებას, იგი ასე განაწილდება: ნახევარი სათადარიგო თანხად მიდის და ნახევარი აქციების პატრონთა შორის განაწილდება.

4. არავის არ შეუძლიან ნება არ დმრთოს თავის ადგილებში რკინის გზის გაყვანისა, რადგანაც 21 ივნისს 1910 წ. ბრძანება იყო ხელმწიფისა, რომ ჩამოერთვას ძალით კახეთის რკინის გზისათვის საჭირო ადგილები, ვინც ეს ნებით არ ისურვოსო.

5. კახეთის რკინის გზას რუსეთ-აზიის ბანკი კი არ აკეთებს, არამედ განსაკუთრებული სააქციონერო საზოგადოება, რომელშიც შედიან: ტფილისის გუბერნიის თავად აზნაურობა და ჯერ-ჯერობით რუსეთ-აზიის ბანკი. სასურველია ძლიერ, რომ ადგილობრივი მკვიდრნიც შედიოდნენ ამ საზოგადოებაში და, რაც ადრე მოხერხდება ეს, მით უკეთესია. ადგილობრივ მცხოვრებთ კი შეუძლიანთ ეხლავე გახდნენ ამ საზოგადოების წევრებად, თუ რკინის გზისათვის საჭირო ადგილებში, ნაღდის ფულის მაგიერ, აქციებს მოითხოვენ.

და 6, რუსეთ-აზიის ბანკი ეხლა მხოლოდ დიდ მოიჯარადრის როლშია, რომელსაც ძინდობილი აქვს თავად-აზნაურობის მიერ კახეთის რკინის გზების გაკეთება თანახმად უმაღლესად დამტკიცებულ წესდებისა და ხარჯთ-აღრიცხვისა.

გზის კეთება ამა წლის მაისში უნდა დაიწყოს და უნდა გათავდეს 1914 წლის შემოდგომაზე.

დასასრულ, ვიმეორებ და ათასჯერ გავიმეორებ, რომ კახეთის რკინის გზა დიდი საქმეა ჩვენთვის, არა იმიტომ მხოლოდ, რომ იგი ხელს შეუწყობს ჩვენის ქვეყნის ნივთიერ წარმატებას; ეხლა, ამ წუთში, მე მივაქცევ განსაკუთრებულ ყურადღებას მეორე უფრო მნიშვნელოვან საგანს: ჩვენ უნდა გვაინტერესებდეს ამ გზის მთელი ბედ-იღბალი, უფლება ამ გზის პატრონობისა მთელი 81 წლის განმავლობაში. ამ უფლების ხელში ჩასაგდებად კი საჭიროა ის ჯადოსნური ძალა, რომელსაც აქცია ეწოდება. აქციის, და მხოლოდ აქციის, შეძენა გაგვხდის ჩვენ კახეთის რკინის გზის სრულ პატრონად და ამას უნდა მივაქციოთ ახლა მთელი ჩვენი ყურადღება.

**თ. დიმიტრი ერასტის ძე ჩოლოყაშვილი.**

*) იხ. „სახ. გაზ.“ № 544, 5 6.

# ალტაცება

რა წამია!... ვიშ!... რა წამი...
ბზინავს,
ბრწყინავს
ცის ცვარ-ნამი!...

* *

შორს, შორს ისმის სირთა სტვენა,
ლაღ ფრთებსა ჰშლის აღმაფრენა!

* *

ცისკრის თრთოლა,
მზის კაშკაში,
სიოს ქროლა
ჭალა, მთაში,—
აი ჩემი აღტაცება!—
ტყის ფოთლებო!
ტაში!!.. ტაში!!...

**გ. ქუჩიშვილი.**

# მე წყევლა მქვიან...

დიანას ისრით სული ჩემი დავჭერ, დავცხრილე,
დავჭერ, დავცხრილე სული ჩემი მაშინ, როდესაც
სატრფოს გულ-მკერდი შუქ-ნაფეთქი ჩრდილავდა მზესაც,
დღეს ვის რათ უნდა ჩემი „კოცნის“ სიცხე, სიგრილე!..
დიანას ისრით სული ჩემი დავჭერ, დავცხრილე!..

* *

ოჰ, გადმოხურე ეგ ქუთუთო! ნუ, ნუ მიცქერი!
მე წყევლა მქვიან... მე ოცნება, ოცნება მწვავე
ცეცხლის ზვირთებში სინამდვილეთ დავასაფლავე,
მეტი ვარ ქვეყნად, არარა ვარ, მიწა და მტვერი...
ოჰ, გადმოხურე ეგ ქუთუთო! ნუ, ნუ მიცქერი!..

* *

სად არის სადა, სიყვარულის ტურფა ამური?
ვსტირი! მაგრამ ეჰ, ვერც აქ ვპოვე მე სიხალისე,
ვსტირი ამოსკვნით, ვსტირი გულით, ოჰ, ვსტირი ისე—
ვით მწყემსის ხელში საოცნებო ხის სალამური!..
სად არის სადა, სიყვარულის ტურფა ამური!..

* *

გზა მშვიდობისა, ჩემო კარგო, გზა მშვიდობისა...
ჩემი ღიმილი ჯალათია მგოსნის სიმღერის,
არა ვარ ღირსი მაგ სიტყვების, მაგ ფეხთა მტვერის,
არა ვარ ღირსი ალერსიან თანაგრძნობისა...
გზა მშვიდობისა, ჩემო კარგო, გზა მშვიდობისა!..

8 მარტი. ქუთაისი.

**ი. გრიშაშვილი.**

# ქუთაისის აბ-კარგი

ქალაქმა არ მიიღო თავის თავზე პასუხისმგებლობა და გადაჭრით უთხრა კერძო გიმნაზიის გამგეთ ბ-ნ ქუთათელაძეს და მკურნალს: თქვენს შუამდგომლობას ვერ შევიწყნარებთო. რამდენად სამართლიანია ქალაქის საბჭოს გადაწყვეტილება ამის გარჩევას აქ არ შევუდგებით. ფაქტი ფაქტად რჩება—სასწავლებელი, სადაც 250 მეტი სწავლობს დაიროვევა ამ გადაწყვეტილების შემდეგ. აქაურმა გაზეთებმა გვაუწყეს, რომ ბ-ნი ქუთათელაძე ტფილისს მიდის მზრუნველთან შუამდგომლობის გასაახლებლადაო. მაგრამ ამ შუამდგომლობასაც იგივე შედეგი მოჰყვება, რაც წინანდელებს. შარშან 20 თუ 30 კაცისათვის ითხოვდა ეს სასწავლებელი, რომ ისინი ექსტერნებათ დაეშვა ან აქაურ ან ბათუმის გიმნაზიაში და ასეთი თხოვნა არ შეიწყნარა სამასწავლებლო უწყებამ და ეხლა კი უფლებას მიანიჭებს ამავე სასწავლებელს! მართალი გითხრათ, ეჭვი გვაქვს, თუ ბ-ნი ქუთათელაძის შუამდგომლობას მხარი არ დაუჭირა, ქალაქის თვითმართველობამ, ან მსგავსმა საზოგადო დაწესებულებამ.

მანამდის ეს კითხვა საბოლოოთ გამოირკვეოდეს, მოწაფეთა მდგომარეობა აუტანელია. უმეტესი მათგანი თურმე სასწავლებლიდან გასვლას აპირობს, მაგრამ სად შეაფარებენ თავს, როცა ყველა სასწავლებელი გაჭედილია მოსწავლეებით. ესეც რომ არ იყოს, უცხო მოსწავლეთა მიღებას ყოველი სასწავლებელი ერიდება. ამიტომ ზრუნვა ამ ყმაწვილების შესახებ ზნეობრივი ძოვალეობაა იმ პირთა და დაწესებულებათა, რომელთა სიტყვასაც უფრო გავლენა ექმნება სამოსწავლო ძთავრობის წინაშე.

კვირას, 4 მარტს, წ. კ. გამ. საზ. ქუთაისის განყოფილების გამგეობამ შავი ქვის საბჭოს სადგომში მოიწვია დამხმარე აგენტები, თითოეულ წრიდან და დაწესებულებიდან თითო ორ-ორი კაცი, იმ საკითხის გამოსარკვევად, თუ რა და რა ზომებია საჭირო გამგეობის ნაყოფიერი მოქმედებისათვის და განყოფილების ნივთიერად გაძლიერებისათვის. კრება გახსნა ნაშუადღევის პირველი საათის ნახევარზე გამგეობის თავმჯდომარის ამხანაგმა ი. ოცხელმა. დაესწრო 25 მდე კაცი და ქალი. კრების თავმჯდომარემ გააცნო დამსწრეთ მოწვევის მიზეზი და წინადადება მისცა, გამოეთქვათ თავთავიანთი აზრი. იქონიეს მსჯელობა განყოფილების ნივთიერად გაძლიერებისათვის წევრთა რიცხვის გაძრავლების შესახებ და კაი ხნის კამათის შემდეგ დაადგინეს: არჩეულ იქნას თითო აგენტი ყოველ დაწესებულებიდან და წრიდან, ხოლო ვაჭრებიდან და ებრაელობიდან კი 10—15 კაცი, რომელთაც უნდა ჩაჰბარდეს საწევრო წიგნაკები და მოწოდების ბარათეპი; ებრაელებიდან მიუძატონ აგრეთვე რაბინიც, რათა მან ჩააგონოს ებრაელებს, რომ ამ საქმეში რჯულის საწინააღმდეგო არაფერი არ იქნება და მიიღოს ყო-

# მასალები ქართველ ინტელიგენციის ისტორიისათვის

„მ ე ს ა მ ო ც ი ა ნ ნ ი“

**ნაწილი მეორე**

(„დროება“ 1866—1876 წ., „მნათობი“ 1869—1872 და „კრებული“ 1871—1873 წ.)

VII

რაც მეტი დრო გადიოდა ბატონყმობის გადავარდნის შემდეგ, უფრო მეტად და გარკვევით იხატებოდა ახალი დროის ვითარება. საყოველთაო საზრუნველ გარემოებად ახლა საქმის და ფულების ძებნა გახდა. რკინის გზის გაყვანის შემდეგ კი ეს საკითხი,-საქმის და ფულების ძებნა-პირდაპირ საარსებო საკითხად გადაიქცა. ყველა ამაზედ წინადაც იყო ლაპარაკი ქართულ პრესაში, ხოლო ამ საგანს თანდთან მწვავე პრაქტიკული ინტერესი მიეცა, და „საბანკო საკითხი“ მთავარ სალაპარაკო საგნად ხდება ჩვენს ჟურნალ-გაზეთებში. საზოგადოებრივ ერთგვარ აჟიოტაჟის შესახებ გაზეთი „დროება“ ასე სჯის ს. მესხის პირით: „ეს გამწარებული ფაცა-ფუცი, მოძრაობა ჩვენი მოწინავე საზოგადოებისა, ეს ძებნა ადვილად შესასრულებელი და ბევრი ფულების მომცემი საქმისა და შრომისა ჯერაც არ დაწყნარებულა. ეხლაც არიან ისეთი პირნი, რომელთაც იმედი აქვთ, რომელნიც ცდილობენ აყალო მიწაში ოქროს მადნები აღმოაჩინონ, რომელნიც სხვა და სხვა უსახელო კამპანიებს ადგენენ და სხვა და სხვა. და ჩვენ სრულიადაც არა გვსურს, რომ ამგვარი მიმართულება, ეს ლტოლვილება ჩვენს საზოგადოებაში ერთბაშად მოისპოს. ჩვენის აზრით, ამგვარ ფაცა-ფუცს, ამნაირ უსწორ-მასწორო და ბნელ გზაზე ხეტიალს იმ კეთილის ნაყოფის მოტანა შეუძლია, რომ ბოლოს და ბოლოს სწორ გზაზე დავადგებით. თვით გარემოება გამოგვაფხიზლებს და გვიჩვენებს, რომ შეუსრულებელი პროექტების დევნა ხელს არ მოგვცემს, რომ უეცრად, მანქანების ძალით გამდიდრების მაგიერ, ჩვენ ბეჯით სწავლას, გულმოდგინე შრომას და ასასრულებელ საქმეებს უნდა შეუდგეთო“. (№ 444, 1874 წ.) მართლაც, ადვილი საქმე არ არის ერთ სოციალურ წყობილებიდან მეორე სოციალურ წყობილებაში გადასვლა. „სოფლურ“ და „თავადურ“ საქართველოს ახალი საზოგადოებრივი შინაარსი და ფორმა უნდა მისცემოდა. შრომა და გარჯა—ამაზე უნდა დამყარებულიყო ახალი საზოგადოების აგებულება. ერთად-ერთი ელემენტი შრომას მიჩვეული გლეხობა იყო ჩვენში. ხოლო მისი შრომა ახალ დროში უნაყოფო რჩებოდა. საჭირო იყო, რაც გახდეს, გახდეს, ამ შრომის განაყოფიერება. ამ განაყოფიერების ძებნამ აამოძრავა ხალხი და სოფლელი ქალაქისაკენ მიისწრაფოდა. ჩვენთვის ამ გარემოებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. თავდაპირველად ჩდება ტფილისში იმერლობა. იმერლობამ საფუძველი ჩაუყარა ქართულ ვაჭრობა-მრეწველობას და ეროვნულადაც გაამაგრა ჩვენი დედა-ქალაქი. გაჩდნენ სხვა წრეებიდამაც საქმის კაცები. ამ საქმის კაცების პირველი ნაბიჯები, რა თქმა უნდა, უხეირო იქნებოდა. გ. წერეთელი ამგვარად აგვიწერს ერთ საქმიან კაცის ფიზიონომიას: „ამ ჟამად საცა არ გაიხედავ, ყველას ნახშირის სუნი ესმის. იმასაც ამბობენ, კავკასიის მთები იმიტომ მოსჩანან ლურჯად, რომ ნახშირის კომლი აქვთ გარს შემომდგარი, რომელიც მთების გულიდან ამოდისო. და ამის გამო უნდა ვიფიქროთო, რომ კავკასიის მთების გული სულ ნახშირიანიაო.—ამისი კი რა მოგახსენო და ზოგიერთი ქართველების გული, და განსაკუთრებით იმერლების რომ ნახშირიანია—ეს კი მართალია. ამ ნახშირის სუნმა და კომლმა ისე გაიტაცა ჩვენი საზოგადოება, რომ რაც შავია სულ ოქრო ჰგონია და ამის გამო შავ ჩირქიან ზნესაც არ თაკილობენ. ერთი ამ შავი ნახშირის მაძიებელი შემხვდა ამ დღეებში და მითხრა: მეშველაო!.. იმის გიჟურმა თვალების ბრიალმა არ მასიამოვნა! ვთქვი, სიმდიდრის ძიებაში ტვინი გადაბრუნებია მეთქი. მინდოდა გვერდი ამევლო... მაგრამ ამ ახალმა გიჟმა ჩამავლო კალთაში ხელი და მომძახოდა: გაიგე—და! გაიგე, რა ვიპოვე! ბაქოსკენ წაველ და ოთხი ნავთის ჭა ვიპოვეო, თითო სამ-სამ თუმნად ვიყიდე. სულ დამიჯდა თორმეტი თუმანიო. ეხლა იცი, რას ვაპირებ! წავალ საზღვარგარედ, მოვიყვან კაპიტალისტებს და გავმართავ ნავთის კამპანიასო. ჩემს საწილოდ წელიწადში უკანასკნელი ასი ათასი მანეთი შემოსავალი მექნება. ამ დროს ძირს დავიხედე და იმის ცერს წაღაში თავი გამოეყო. თუ აგრეა, მაშ შენ ფეხის ცერსაც ე ირსება გათბობა—ვთქვი გუნებაში. ამ დროს ჩემი აქციონერიც ყურზე წამომწვდა და მიჩურჩულა:—გეთაყვა, იქნება ხუთი მანეთი გქონდეს, მასესხე, ფაეტონის ფული არა მაქვს, პასპორტი მინდა პოლიციიდან გამოვიტანო, თორემ ნავთის კამპანიის შედგენა დამიგვიანდებაო. ღვთის წინაშე გზის ფულიც მჭირდება, ისიც არა მაქვსო. „კაი მასალა გკლებია მამაშვილობამა“-მეთქი. ბოლოს ჩემი ჯიბე რომ ისე ცარიელი დაურჩა, როგორც თავისი, უკმაყოფილების ნიშნად უხეიროდ გაიღრიჭა და გამშორდა“. („ამ დროის ვითარება“, „კრებული“ 10—12 1872 წ.) ეს პატარა სურათი, ცხოვრებიდან ამოღებული, ფაქტია. სავალალო ის არის, რომ დღესაც არ დაუკარგავს ამ სურათს თავისი ცხოველმყოფლობა, დღესაც ბევრია ჩვენში ამ ხასიათის „საქმის კაცი“. ვიმეორებ, ადვილი საქმე არ არის, რომ მეომარი და მხვნელ-მთესველი, ისიც ყმად ქცეული, ერთბაშად მოქმედ და გამჭრიახ ვაჭარ-მრეწველად გახდეს. ასეა თუ ისე, საქართველო ახალ გზაზე გამოვიდა და ჩვენი პრესის წინაშე დაიბადნენ ახალი სოციალური და საზოგადოებრივი საკითხები.

როგორც ვთქვი, რკინის გზა, მადნეულობათა აღმოჩენა, ვაჭრობა-მრეწველობის აღორძინება, დიდ ცენტრებისაკენ იზიდავდა ქართველობას. ჩვენი ინტელიგენციაც ტფილისში გროვდებოდა და მყარდებოდა. ტფილისში იწყებოდა ყოველი კულტურული დაწყობილება. ტფილისში ჰმატულობდა ქართველ მცხოვრებთა რიცხვი, ტფილისში უნდა გამოჩეკილიყო ახალი სოციალური კლასი ქართველ ვაჭარ-მრეწველობისა. და ეს ასედაც მოხდა. და როდესაც ეს გარემოება ფაქტად გადაიქცა, მყისვე გაჩნდა მწვავე საკითხი სომეხ-ქართველთა ურთიერთობისა. ქართველთა თვალში სომეხი მარტოოდენ ვაჭარი და ხელოსანი აღარ არის, სომეხი ერთგვარი სოციალური კატეგორიაა, რომელიც წინ დაუხვდა ქართველობას იმ ხანაში, როდესაც ამ ქართველობამ სამოქალაქო ცხოვრების ასპარეზზე გამოსვლა დააპირა. და აქ არის უკვე თესლი ეროვნულ მომენტისა, სომეხ-ქართველთა ურთიერთობისა. როდესაც 1874 წ. საქალაქ. არჩევნების დროს სამოცდათორმეტ ხმოსანში მარტო სამი თუ ოთხი ქართველი აირჩიეს, სერგეი მესხმა ველარ მოითმინა და სთქვა: „რაც უნდა ძალიან ეწყინოს ნამდვილ ქართველს... რაც უნდა ძალიან ეწყინოს, მაინც უნდა გავტყდეთ, რომ ერთ დროს ქართველთა სატახტო ქალაქი — ტფილისი, დღეს სომხების საკუთრებად შექმნილა“. (451, „დროება“ 1874 წ.) მართალია, სერგეი მესხს კარგად ესმის, რომ ქართველების ჩამორჩენა გამოწვეულია მთის უმნიშვნელო ქონებრივ მდგომარეობით ქ. ტფილისში, მაგრამ გული მაინც გულის ადგილზე არა აქვს და სწყინს, რომ საქმე ასე უცნაურად მოეწყო. „ამაში გასაკვირველი არა არის რა, განაგრძობს იგი, მაგრამ ამ ამორჩევების შედეგი, მგონი, იმათ კი ღირს, რომ იმაზე ქართველი კაცი ცოტას მაინც არის დაფიქრდეს“. (ibid), დიაღ, საგანი დაფიქრების ღირსია და ქართველი ინტელიგენცია მუდამ ჟამს უფიქრდებოდა ამ საგანს. და საკვირველი ის არის, რომ მის ფიქრებში ყოველთვის რაღაც ორმაგი საზრუნავი საგანი იყო. კი, მესმის, რატომ უჭირავს სომხობას ხელში ტფილისიო. მაგრამ ეს ხომ ჩვენი დედა ქალაქი იყო. ან იქნება ეხლა, ან მომავალში ამ გარემოებას მნიშვნელობა აღარ აქვს და აღარ ექმნებაო, მაშ ყოველივე ფულის და შეძლების საქმე ყოფილა? ასე კია ესო? ნახევარ საუკუნეზე მეტია ღრღნის ეს აზრი ქართველ ინტელიგენტის გულს და დღესაც მას ვერ გადაუწყვეტია, დაიმარხოს მან გულში ის აზრი, რომ ტფილისი საქართველოს დედა-ქალაქია, თუ პირ-იქით მისცეს ამ აზრს გასავალი და მის შესაფერისადაც იმოქმედოს!

გ. წერეთლის აზრი ის იყო, რომ ქართველობის ეკონომიური გამაგრებაა საჭირო ტფილისში. და როდესაც ეს მოხდება ყოველივე სხვაც გამოირკვევა. „კრებულში“ ვკითხულობთ: „აწ რა რკინის გზა გაისხნა, იმან მიუთითა საქართველოს ტომის ვაჭარს ხალხს ხელი ტფილისზე და უთხრა: აი, შენი დედაქალაქი და საქართველოს ბურჯი გარეშე მოვაჭრე ხალხს ჩაუგდია ხელში. შენ ეს აქამდის არ იცოდი და რომ გცოდნოდა მაინც, აქამდის ვერას გაარიგებდი, აწ მიესიეთ და იჩინეთ თავი ტფილისის სავაჭრო ასპარესზედ. ახლა იქ არის ბურთი და მოედანი. დაიწყეთ ტფილისის სავაჭრო ბაზარში მიწოლა და ვაჭრობა ისევ თქვენ დაირჩინეთ. უამისოდ ტფილისიც სამუდამოდ დაკარგულია და ქართლ-კახეთის მიწა-წყალიც დაღუპული. ამას გარდა რკინის გზა ძალიან მჭიდროდ აახლოვებს ამ ერთი-ერთმანეთის წინააღმდეგ ხასიათების ხალხს, იმერლებს და ქართლკახელებს. იმერელია მარდი, გონებამახვილი, სწრაფი მგრძნობელი და მალე თავის ამღები. ქართლელია მტკიცე, ჭეშმარიტი, ძლიერი და გამტანი. როდესაც ეს ორი თვისება ერთმანეთში გადავა, ერთის ნაკლულევანება მეორის ღირსებით შეივსება, მაშინ ჩვენი ცხოვრების ნაკადულიც ძალიან გადიდდება, იწყებს წარმატებით ჩქარ დენას და კეთილდღეობაც მოახლოვებულია... (1873 წ. № 3—4). აქ ორი ფრიად საგულისხმო საკითხია აღძრული. ერთია ბურჟუაზიის მნიშვნელობა ეროვნულ აღორძინების საქმეში. მეორეა ერთ მტკიცე სხეულის შედუღება ქართველ სხვა და სხვა ტომთა შეერთებით. ორივე საგანს დღესაც ცხოველმყოფელი მნიშვნელობა აქვს. ხოლო, საუბედუროდ, დღესაც ბევრს არ ესმის ჩვენში არც ერთი, არც მეორე. „იმერ—ქართლელობა“ დღესაც არ გამქრალა. ხოლო რაც შეეხება ბურჟუაზიის საკითხს, დღეს ცდილობენ „სოვდაგართა ჯიბეების

ველ გვარი ზომები წევრთა საშოვნელად, სამაგიეროდ განყოფილებას აზრად აქვს, როდესაც იმისი ნივთიერი მდგომარეობა წევრთა გამრავლებით გაუმჯობესდება, ებრაელების უბანში გახსნას პირველ დაწყებითი სასწავლებელი და ამით ჯერ-ჯერობით აღნიშნოს ქუთაისში თავისი კულტურული მოქმედების შედეგი.

დამსწრე დამხმარე აგენტებმა ჯერ-ჯერობით თვითონ ჩაიბარეს წიგნაკები. გამოითქვა სურვილი, სარაიონო აგენტების ორგანიზაციაზე გამგეობამ მოკლე დროში იქონიოს მოლაპარაკება.

## სტამბოლის ქართველ-კათოლიკეთა მონასტრის წინამძღვრის არჩევა.

სტამბოლიდან მივიღეთ ნამდვილი ცნობა, რომ იქაურ ქართველ-კათოლიკების მონასტრის უფროსად აურჩევიათ ახალგაზდა მღვდელი პატრი პიო ბალიძე.

მამა ბალიძე არის ჩვენი ქვეყნის შვილი, ჯერ ახალგაზდა 30, წლისა. სწავლა-განათლება აქვს მიღებული სტამბოლში. ქართულის მცოდნეა და საფუძვლიანად იცის ფრანგული. მამა პიო სოფელ ხიზაბავრის მცხოვრებთაგანია.

როგორც ვიცით, სტამბოლის ქართველ-კათოლიკეთა მონასტრის შინაური საქმეები ამ ჟამად მეტად არეულ-დარეულია უხეირო მმართველობის წყალობით. მამა ბალიძეს მომავალში დიდი შრომა დასჭირდება ამ მონასტრის საქმეების რიგზე მოყვანისათვის. იმედია, იგი არ დაზოგავს თავის ღონეს მონასტრის კეთილდღეობისათვის და მით გაამართლებს თავის ამომრჩევლების იმედს.

მთელი ქართველ-კათოლიკე ერის ნატვრა და სურვილი შემდეგია:

1) დაუბრუნოს მონასტერს თავისი დაკარგული მამულები. 2) დაუბრუნოს ის მრევლი, რომელიც მონასტრის ახლო-მახლო იმყოფებიან და ადრე მონასტერს ებარა. 3) დაიბრუნოს უსკუდარის დაკარგული მონასტერი და ეკლესია, როგორც მამა პეტრე ხარისჭირიოვის ნაანდერძევი; 4) ქართველებს თავიანთი სამრევლო ეკლესია გაახსნევინოს, 5) მონასტერს ნებართვა აულოს, რომ, როგორც პატრი ბენედიქტეს გამგეობის წინად იყო, შემოიღოს ქართულ ენაზე ლოცვა-გალობა, თუ შესაძლებელია ქართული წირვაც; 6) ბეჯითად ყურადღება მიაქციოს ქართულ ფრანგულ სკოლას ისე, რომ აღარავინ შეეხოს მას. 7) შემოიღოს ქართულ ენაზე სწავლის წარმოება მონასტერში; და 8) მონასტრის სარდაფებიდამ გამოატანინოს სტამბის მანქანა-იარაღები, ამოაცალოს ჟანგი და მისცეს მათ თავის დანიშნულება, რომ მონასტერს ჰქონდეს საშუალება სასარგებლო წიგნების გამოცემისა.

ერთი სიტყვით, ფრიად სასურველია, რომ მონასტერი დაადგეს იმ კვალზე, როგორიც იყო ერთ ბედნიერ დროს ღირსეული მამა პეტრე ხარისჭიროვის დროს.

**ს. ზავრელი.**

## ხმა უდანაშაულოდ დევნილისა*

(წერილი რედაქციის მიმართ)

**ჭირი მართალსაო!** (ხალხური ანდაზა).

კარგა ხანია რამოდენიმე კაცმა, ჩემთან პირადის ანგარიშებით დაბნელებულმა, განიზრახა ჩემის სახელის გატეხა საზოგადოების თვალში და ამ მიზნის მისაღწევად ჩემზე ჭორების გავრცელება დაიწყეს ჯერ ბულვარ-ქუჩებში და მერე თვით პრესაშიაც. ქვეყანას აუწყეს: თევდორე ჟორდანია მოღალატეა, მან თავის სამშობლო გაჰყიდა, წითელ სარჩულიან ტანისამოსში და კაი ჯამაგირში გასცვალაო...

ასეთს რასმე, სწორე გითხრათ, თავის დღეში არ მოველოდი. მით უმეტეს გავოცდი, როცა პრესის ერთმა ნაწილმაც დაუჭირა მხარი ჩემს მოწინაალმდეგეებს, ერთხელ საკუთარი წიგნაკიც კი დაუბეჭდია ერთ-ერთ ჩემს „მტერ-მოყვარეს“, ჩემი წერილები კი მაუდს ამოუდო, ხოლო რაც დამიბეჭდა, ისიც კუდმოკვეცილად, ბოლო-მოგლეჯით, **უსამართლო** ზედ-დასკვნით და შენიშვნით. ასე გასინჯეთ, რამდენიმე წერილი, **მარტო ფაქტიურ მასალით სავსე**, მხოლოდ ცენზურამ დააბეჭდინა ერთ-ერთს გაზეთს, მეორემ კი ჯერ კერძოდ მე მომწერა და შემდეგ თავისსავე ფურცლებზე საქვეყნოდ გამოაცხადა, თედო ჟორდანიასათვის რედაქციის კარები დაკეტილი უნდა იყოსო...

მოთმინებიდან გამოსულმა, ბოლოს (1905 წელს) სამედიატორო სამართალში გამოვიწვიე რედაქცია... ჩემი წინადადება არა თუ არ მიიღეს, ამის შესახებ ჩემი წერილიც არ დაბეჭდეს, კერძო წერილითაც კი არ მიპასუხეს...

ჩემდა დასაცველად ზუგდიდის და სენაკის მაზრების მასწავლებლებმა სტატია გაგზავნეს გაზეთში დასაბეჭდათ—ისიც ვერ ეღირსა სინათლის ხილვას, რედაქციის „კალათაში“ ამოჰყო, უეჭველია, თავი...

ბოლოს, პრესის ამგვარ საქციელით მოზიზრებული, სხვა გზას დავადექ: ქართველ სტუდენტობას მივმართე, მისს ავტორიტეტს ვენდე... 1905 წელს, ზაფხულში, ქუთაისში მყოფ ქართველ სტუდენტებსა ვთხოვე ჩემის საქმის გარჩევა, ჩემის მოქმედების შესახებ თავის უმზაკველ და პირუთვნელ განაჩენის გამოტანა.

სხვა და სხვა მიზეზებისა გამო სტუდენტობამ ვერ მოახერხა ჩემის თხოვნის ასრულება და ჩემ-მიერ წარდგენილი საბუთები იმავ წლის სექტემბრის პირველ რიცხვებში უკან დამიბრუნა...

ამასობაში გაზეთებმა მიატოვეს ჩემზე წერა... კამათი მისწყდა... თანაც კერძო პირთაგან მრავალი გამამხნევებელი, თანამგრძნობი წერილი მომივიდა... ვიფიქრე, შერცხვათ ჩემს მტრებსა, თავის სიმრუდეს მიხვდნენ, თავი დამანებეს—მეთქი... ამიტომ დავმშვიდდი და კვლავ დავუბრუნდი ჩემს საქმეებს, პოლემიკით შეწყვეტილ მეცნიერულს კვლევას ქართულ ისტორიისას და გრამატიკისას... და მართლაც, ჩემმა მტრებმა ერთხანს ხმა გაკმინდეს, აღარ მაწუხებდენ...

საუბედუროდ, მათ თურმე კი არ შერცხვათ, არამედ მარტო ბრძოლის ველიდან გამექცნენ და როგორც-კი ვითომც-და შემთხვევა იშოვეს, ხელახლა ასტეხეს განგაში, მიწყეს დევნა და ლანძღვა-თრევა... ხელზე დაიხვიეს იმერეთის საბჭოს ერთ-ერთი დადგენილება**) და მიუხედავად იმისა, რომ მე **მხოლოდ ერთ-ერთი წევრი** ვიყავი საბჭოსი, ხსენებული დადგენილება-კი **საბჭოს უმრავლესობას** ეკუთვნის, მაინც ჩემზე გატეხეს **ჯოხი**, დაბალ ღობედ, ჩვეულებისამებრ, მე გამხადეს. თუ რა სასაცილოდ დაასაბუთეს ჩემმა მოწინააღმდეგეებმა ჩემზე **ჯოხის** გატეხა, ამას მკითხველი კოლხიდის“ სავრაკო მოთხრობებიდან გაიგებდა... თურმე ნუ იტყვით, საბჭოს წევრები ზოგნი „კრებაზე არა ყოფილან“, ზოგნი „კრების გათავებამდე წასულან“, ზოგს დადგენილებისთვის „წაუკითხავად მოუწერია ხელი“, ზოგს „ვერ შეუნიშნავს“ კრების ოქმში „პუნქტი“ ქართულ ენის შესახებ.

საბჭოს ერთ-ერთმა წევრმა ხომ თითონვე, თავის საკუთარის პირით, გვაცნობა გაზეთის ფურცლებზე: სულ ყველაფერი თედო ჟორდანიას ბრალიაო! ის კრებაზე „ხელში რაღაც ქაღალდს ათამაშებდა“ და ჩვენ „გვეგონა“ ის საიმპერიო მეთვალყურის ბრძანებაო... როგორ მოგწონთ?! თურმე საკმარისია, კაცმა ხელში რაღაც ქაღალდი „ათამაშოს“, რომ „სიმართლის მოყვარე“ გაზეთმა ყველანი „გაამართოს“ და მარტო ბედკრულ „ქაღალდის მოთამაშეს“ მოახვიოს კისერზე მთელი დაწესებულების ცოდვა! აი ამაზე იტყვიან; „კაცი რომ თავის თავს უზამს, მტერიც არ მოეკიდებაო...“

**თ. ჟორდანია.**

(დასასრული იქნება)

*) ამ წერილს უცვლელად ვბეჭდავთ. რედ.

**) ეს საგანი უკვე საკმარისად გამოირკვა ჩემ და იაკობ გოგებაშვილის შორის გამართულ პოლემიკაში. **თ. ჟ.**

## წერილი ოჩამჩირედან.

შეიძლება მკითხველსაც ახსოვდეს, რომ შარშან შემოდგომაზე ზოგიერთ გაზეთებში, სხვათა შორის „პ. რ.“-იაც იყო მოყვანილი ამიერიდან აფხაზეთისათვის დაუვიწყარი რეზოლიუცია კოდორის ნაწილის უფროსის ბ. კოლიკოვისა. საქმე იმაშია, რომ შარშან გაზაფხულზე და ზაფხულშიაც დიდი გვალვები დაიჭირა სოხუმის ოლქში, რამაც ხალხი ძლიერ შეაშინა; ივნისის შუა რიცხვებში სოფელ ტამიშის საზოგადოებამ თავი მოიყარა და ხანგრძლივი თათბირის შემდეგ დაადგინა: „ეცნობოს ჩვენი უმწეო მდგომარეობა მთავრობასა“. მამასახლისმა ეს დავალება საზოგადოებისა აცნობა კოდორის ნაწილის უფროსს ბ. კოლიკოვს, უზომო გვალვებისა გამო დიდი შიშიანობა მოელის ჩვენს საზოგადოებასო. აი ამ ქაღალდზე ამიერიდან ისტორიის საკუთრებად ქცეულმა და მთელი კუთხის წყალობით ღვთისათა ბატონ-პატრონად გამხდარმა ბ. ნაჩალნიკმა ასეთი რეზოლიუცია დააწერა: „обратитесь съ просьбою въ въ контору пророка Ильи, чтобы онъ пустилъ въ ходъ свою колестницу!“*) საზოგადოებას ეს რეზოლიუცია რომ წაუკითხეს, აღშფოთებაში მოვიდა: „როგორ? დახმარების მაგიერ ბ. უფროსი ჩვენს წმიდათა წმიდას დაგვცინისო? ამის მიტევება არ შეიძლება, და ყველა ერთად რომ გადავესახლოთ, მაინც უჩივლოთო: შეიძლება სადმე ვეპოვოთ სამართალიო?“ მაგრამ დაბოლოს, ზოგიერთი უფრო „გამობრძმენდილ“ პირთა ჩაგონებით ამ საშიშ—გზას—ჩივილს თავი დაანებეს და დაადგინეს: გაზეთებში მაინც გამოქვეყნდესო. ეს სურვილი მათი კიდევაც შესრულებულ იქმნა, მაგრამ უნაყოფოდ. მაგრამ არა, ცოტაოდენი ნაყოფიც მოიტანა: პ. ნაჩალნიკმა ტამიშის სოფლის მწერალი გააგდო სამსახურიდან. გაზეთებში შენი წყალობით გამომჭიმესო, უადგილოდ, გამოგდებული მწერალს ბ. მამაცოვს, არც აცივა, არც აცხელა და სოხუმის ეპისკოპოზს ყოვლად სამღვდელო ანდრიას წარუდგინა ეს რეზოლიუცია და უჩივლა ბ. კოლიკოვს. როგორც ამბობენ, ეპისკოპოზმა აღძრა ეს საქმე და ჯერ-ჯერობით არავინ იცის, თუ რას ეტყვიან ბ. კოლიკოვს, ან და მომჩივანს ბ. მამაცოვს. ხოლო გასაჭირში ჩავარდა ტამიშის მამასახლისი: ასეთი რეზოლიუციანი ქაღალდის პირი რათ მიეცი შენს მწერალსა, ან და კორესპონდენტებსაო, და სასჯელით ემუქრებიანო. ამ ფაქტს. მკითხველო, არავითარი განმარტება არ სჭირია, მგონია...

*) მიჰმართეთ თხოვნით წინასწარმეტყველ ილიას კანტორას, რომ თავისი ეტლი მოძრაობაში მოიყვანოსო.

* *

ხოლო უარეს მდგომარეობაში ჩავარდნენ გლეხები — ლაშქარიები როგორც თქვენ გაზეთშიაც იყო ნათქვამი, ამას წინედ გადავარდნილი ყაჩაღი **თავადი შაით-ბეი ძიაფშ-იფა** თავის ამხანაგით სოფელ გვიტოულში ერთ გლეხს დაეცა გასაცარცვავად. შინაურთა ყვირილზე მეზობელ ლაშქარიამ მოირბინა და, რადგანაც ამ უკანასკნელსაც ესროლეს ავაზაკებმა თოფი, ხელი შეუბრუნა, ერთი დამცემთაგანი იქვე მოჰკლა, ხოლო თვით თავადი ძიაფშ-იფა კი მძიმედ დასჭრა, და ამ რიგად ხიფათი ააცდინა მეზობელს, თვითონ კი გასაჭირს მდგომარეობაში ჩავარდა. საქმე იმაშია, რომ ჩვენში, აფხაზეთში ჯერაც სრულს ძალაშია მეფე ვახტანგის კანონები: თავადის სისხლი მეტად ჰფასობს, ვიდრე გლეხისა. გლეხ ლაშქარიებსაც დაედოთ თავად ძიაფშ-იფეების სისხლი, ადათის ძალით კერძო პიროვნების დანაშაული, თუ კი თავის დაცვა დანაშაულობად ჩაეთვლება კაცსა, მთელს გვარზე გადავიდა, თავად ძიაფშ-იფეებს უსათუოდ უნდა აეღოთ სისხლი თავის გვარის წარმომადგენლის შეურაცხყოფისა და სისხლის დაღვრისა გამო ლაშქარიებისაგან. ამ უკანასკნელთ ამ უბედურების თავიდან ასაცილებლად მიჰმართეს შემდეგს საშუალებას: ალისაზდილად წამოიყვანეს ერთ-ერთ თავად ძიაფშ-იფის შვილი და ამ „გაზდილობის“ წყალობით მათ შორის უკვე ჩამოვარდა ზავი და მშვიდობა. ადათით შეურაცხყოფილის შვილი უნდა წამოეყვანით, მაგრამ რადგანაც მას შვილი არ ჰყოლია, მის ძმის წულს ერგო ამ ორ გვარს შორის მშვიდობის ჩამოგდების მისსია. ამიერიდან ლაშქარიები გვარად ითვლებიან ძიაფშ-იფეების აღმზრდელებად და ეს უკანასკნელნიც განბანილ და განწმენდილნი არიან შეურაცხყოფისაგან. ამასთანა მშვიდობის ჩამომგდებ გაზდილს აფხაზები უწოდებენ „შაფსა გუფჰას“ ესე იგი „სისხლის ფასის ასანაზღაურებლად აყვანილი გაზდილი“. რა თქმა უნდა, ამ „შაფსა-გუფჰას“ აყვანაში დიდძალი ხარჯი და ბორჯი დაედოთ და კიდეც მოელის მომავალში, მაგრამ განა ეს მოსახსენებელია იმ მისსიასთან, რომელიც ამ პატარა თავადმა იკისრა?

**ოჩამჩირელი.**

## მოწერილი ამბავი

**დ. ხარაგოული** (შორაპნის მაზრა). ხუთშაბათს, 1 მარტს, აქ მოხდა ხარაგოულის საკრედიტო ამხანაგობის საზოგადო წლიური კრება. კრების თავმჯდომარედ არჩეულ იქმნა ბ-ნი სერგო რუხაძე, მდივნად ბ-ნი დათიკო ამაშუკელი. ორივე პირმა თავის მოვალეობა წესიერად ჩაატარეს.

კრებამ [illegible] გამგეობის და საბჭოს წევრების [illegible] კიკნაძის, [illegible], მაგრამ ერთი ალიაქოთი ასტეხეს კასირმა ლევანტი ქიპაშვილმა და საბჭოს წევრმა ლადო ტატიშვილმა. ახლად იქმნენ ისევ მიღებული საბჭოს და გამგეობის წევრებად ნამყოფნი ბ-ნნი პლატონ და სეფე ლეჟავეები და დეკანოზი ერ. ვეფხვაძე. ამ უკანასკნელმა სამჯერ სთხოვა კრებას გაენთავისუფლებინა, მაგრამ კრებამ ერთხმად სთხოვა ისევ დარჩენილიყო. ისიც დასთანხმდა. პლატონ ლეჟავამ 8—9 წესდების მუხლი წამოუყენა გამგეობას, რომელსაც დარღვეულად სცნობდა. საბჭოს წევრმა ლადო ტატიშვილმა გასცა პასუხი და ამტკიცებდა, რომ არც ერთი მუხლი დარღვეული არ არისო. კრებამ დარღვეულად სცნო აღნიშნული მუხლები და გაფრთხილება მისცა გამგეობას, კრებამ მოისურვა სარევიზიო კომისიის დაარსება, მაგრამ გამგეობის და საბჭოს წევრებმა დიდი პროტესტი განაცხადეს ასეთ კომისიის დაარსებაზე. კრებამ მაინც თავისი გაიტანა და სარევიზიო კომისიის წევრებად აირჩია: ბ-ნნი კოწია ჯაფარიძე, დათიკო ამაშუკელი და მიხეილ დეკანოსიძე.

პლატონ ლეჟავამ წამოაყენა საკითხი, რომ ვაჭრებს წევრებად ნუ მიიღებთო. კრებამაც თანხმობა განაცხადა, მაგრამ გამგეობის თავმჯდომარემ ბ-ნმა მელქო კიკნაძემ არა სცნო სასურველად მათი განდევნა, რადგან ღარიბი ვაჭრები არიანო და დადგენილ იქმნა მათი წევრებად მიღებაც. ბოლოს პლატონ ლეჟავამ წარმოსთქვა სიტყვა „კოოპერატიულ მომხმარებელ საზოგადოებაზე“. კრებამ დიდი ყურადღებით მოისმინა მისი სიტყვა და კიდეც აირჩია კომისია, რომელმაც უნდა იზრუნოს კოოპერატიულ მაღაზიის დაარსებაზე. პლ. ლეჟავას სიტყვის წინააღმდეგი გახდა, მხოლოდ ბ-ნი ლადო ტატიშვილი. მან აუწყა კრებას, რომ ესეთი მომხმარებელი საზოგადოება ბევრგან დაიღუპა და არ გირჩევთ მის დაარსებასაო.

**რისხვა.**

## მარიამ მიხეილის ასულ საფაროვ-აბაშიძის იუბილეის შემოსავალ-გასავლის ანგარიში.

**შემოსავალი:**

1) თეატრისა 1582 მ. 91 კ., 2) შემოწირულებანი 2426 მ. 27 კ., 3) სხვა და სხვა შემოსავალი 35 მ. 50 კაპ., სულ 4044 მ. 68 კ.

---

გასქელების“ მნიშვნელობამდე დაამცირონ იგი. და უნდა სთქვას კაცმა, ადვილად შესაძლებელია, რომ ეს საკითხი მართლაც ამგვარად დამცირდეს, თუ რომ ქართველობაში და საკუთრივ ახლად აღორძინებულ ქართველ წვრილ ვაჭართა წრეებში პოლიტიკურ-ეროვნული სახელმძღვანელო აზრი გაქარწყლდება და თუ რომ ნორჩმა ქართველმა ბურჟუაზიამ ჩაიდინა ასეთი შეცდომები, რომელთაც ჰქონდათ ადგილი წარსულ არჩევნების დროს ქ. ტფილისში.

როგორც ვსთქვით, ცხოვრების ძირითად ცვლილებამ ბანკების დაარსების საჭიროება გამოიწვია. ლაპარაკი იყო სასოფლო, საამხანაგო ბანკების დაარსებაზედაც. მხოლოდ საზოგადოების მთავარი ყურადღება მიპყრობილი იყო იმ ორ „საადგილმამულო ბანკებზე“, რომელნიც ტფილისში და ქუთაისში არსდებოდნენ. ჩვენ უკვე გვქონდა ლაპარაკი იმის შესახებ, რომ ინტელიგენციის თვალსაზრისი და თავად-აზნაურობის მისწრაფება ამ საკითხში სხვა და სხვა იყო. ინტელიგენცია სულ იმის ცდაში იყო, რომ საადგილმამულო ბანკებს საზოგადოებრივი ხასიათი მიეცა. ამ საზოგადოებრივის ინტერესის ზედგავლენით ჩაერია ინტელიგენცია ამ საქმეში. და ეს ფრიად სასურველი იყო. ინტელიგენციის ცდამ ასე თუ ისე უნაყოფოდ არ ჩაიარა, აასრულებინა ბანკებს თავიანთი საზოგადოებრივი მოვალეობა. მეორეს მხრით კი, აქვე აღმოჩნდა იდეიური სხვა და სხვაგვაროვნება, რომელმაც იჩინა თავი ჩვენი მესამოციანების უკეთეს წარმომადგენელთა შორის. ჭავჭავაძის და ნიკოლაძის შეტაკება ბანკის ნიადაგზე არის დასაწყისი მესამოციანების გაყოფვისა. ეს არის ერთის მხრით, ახალი აზრის დიფერენციაციის დასაწყისი, მეორეს მხრით კი დასაწყისი მესამოციანების დაკნინებისა და დარღვევისა. ერის კულტურულ „ეკონომიაში“ ეს დაკნინება, საბოლოვო ანგარიშის მიხედვით საჭირო იყო. მაგრამ სამწუხარო ის არის რომ ხანმოკლეა საზოგადოდ იდეიური ერთობა ქართველ ინტელიგენციის ჯგუფობრივ მოქმედებისა. გამაპობელი დაგამთიშველი ძალა უფრო დიდია მათში, ვიდრე შეერთების და სოლიდარობის სურვილი.

როდესაც 1875 წელს დაარსდა ტფილისის ბანკი, მის მმართველად, როგორც ვიცით, მოწვეული იყო ილია ჭავჭავაძე. ილია ისევ ტფილისშია. და თავის პირდაპირ საქმის გარდა, ისევ იღებს მონაწილეობას ქართულ-ჟურნალ გაზეთობაში, ფრიად შემცდარი აზრია, ვითამ „საქართველოს მოამბის“ მოსპობის შემდეგ ილია სრულიად დაკარგული იყო ქართულ ლიტერატურისათვის. ძველად ჟურნალ-გაზეთების გადაფურცვლის დროს დავრწმუნდი, რომ ილიას არ შეუწყვეტია თავისი სალიტერატურო მოღვაწეობა[1]). თუმცა ისიც მართალია, რომ ეს მუშაობა აჩქარებული და ნაყოფიერი არ იყო. მაგრამ ეს, სხვათაშორის. ჩვენ ამ ჟამად გვაინტერესებს პირველი სიტყვა, წარმოთქმული ილია ჭავჭავაძის მიერ ტფილისის ბანკის კრებაზე.

მოგეხსენებათ, თუ რა იმედები ჰქონდა თავად-აზნაურობას: ბანკს გახსნით ჩვენ ჩვენს კერძო საქმეებს სესხით გამოვაბრუნებთო. თავად-აზნაურთა უმრავლესობა ისე უყურებდა ბანკს, როგორც დაუშრეტელ წყაროს ჭირადის კეთილდღეობისას. საზოგადოებრივი მნიშვნელობა საბანკო დაწესებულებისა, განსაზღვრული მოვალეობა, რომელიც უნდა ჰქონოდა ყველას, ვისაც ბანკთან ექნებოდა საქმე,—ყოველივე ეს დაჩრდილული იყო თავად-აზნაურობის შემეცნებაში. ბანკის მეთაურობის მხრით საჭირო იყო იმ თავითვე გარკვეული, ნათელი აზრი გადაეშალათ საზოგადოებისთვის, რათა არავითარი გაუგებრობა არ ყოფილიყო ამ საქმეში და რათა თავად-აზნაურთა შემეცნებაში შესულიყო სადი და გონიერი შეხედულება. ილია ჭავჭავაძემ პირველსავე სიტყვაში ისე მკაფიოდ და მკაცრად დააყენა საკითხი, რომ ეჭვი არ არის, ბევრს დააყენებდა ცუდ გუნებაზე, ხოლო ამასთან ბევრს ნათელ იმედებსაც აღუძრავდა,

„ბევრს ჩვენგანს ჰგონია, სთქვა ილიამ, რომ ბანკი ნიკოლოზისა და პეტრეს, ესე იგი თვითეულთა პირთა სასარგებლოდ დააწესაო თავად-აზნაურობამ. ამიტომაც ყოველს წესსა, რომელიც აქ წარმოგვიდგინეს დასამტკიცებლად, თავს ვესხმებოდით იმ ანგარიშით, რომ ეგ წესი მე და ჩემს ზიძაშვილს თევდორესაო არაფერს არ გვარგუნებს ბანკიდამაო. ამ თვითეულთა პირთა სარგებლობაზედ აშენებულია ის ტყუილი იმედი, რომ ვინც მშიერნი ვართო, ბანკმა უნდა გაგვაძღოსო, ვინც მწყურვალნი ვართ, ბანკმა უნდა გვასვასო და ვისაც მამულებზე კანონიერი საბუთები არა გვაქვსო, ბანკმა ისე უნდა დაგვიჯეროსო, რომ მამულები გვაქვსო. არა, ბატონებო, ჩვენი ბანკი მშიერს ვერ გააძღობს, მწყურვალს თუღლუხად ვერ გაუხდება, თუ არ მტკიცე საბუთით, ვერავის ვერ დაუჯერებს, რომ მამულის პატრონია. ჩვენ ბანკს რომ ეგენი ეკისრნა, პირველი რომ ქვეყანას სასაცილოდ არ ვეყოფოდით, მეორე რომ მაგ კისრულს თვითონ ბანკი თან გადაჰყვებოდა“... „მე დარწმუნებული ვარ, რომ რაც დღეს ბანკში ფულია, განაგრძობს ჭავჭავაძე, სულ რომ დღესვე დავურიგოთ მცონარე მშივრებს, ხვალ უფრო ბევრი მშიერი მოგვადგება,—ხვალ რით-ღა გავცეთ პასუხი? რაც დღეს ბანკს ფული აქვს, ათჯერ იმაზედ მეტი ფული შეგვძინა ჩვენ ყმების განთავისუფლებამ,— განა მაგან მოსპო ივანეს და პეტრეს შიმშილი? ვინც თვითონ არ ჰირნახულობს, ვინც თვითონ თავის მარჯვენით არ ცდილობს თავის სტომაქის ავსებას, ის, ბატონებო, ცხრილია, რომელიც მაინც არ აივსება, თუნდა მთელი მტკვარი გაუწყვეტლივ ზედ მიუშვათ. რა თანხა გაუძლებს მშიერს მცონარეობას? მარტო იმისთანა თანხა, რომელმაც იმოდენი უნდა იმატოს, რამოდენსაც დააკლებთო“.. მცონარეობა, ილიას აზრით, შებრალებას არ უნდა იწვევდეს. „მცონარეობას რომ საზრდო მივცეთ, ეგ მცონარეობის წაქეზებასა და გამრავლებას მოასწავებს. წაქეზება, ხელის გამართვა გაჭირვებულს ბეჯითობას უნდა, იმიტომ რომ მარტო ბეჯითობაა ჩვენი მხსნელი და ქვეყნისათვის ნაყოფიერი— და არა მშიერს მცონარეობას, რომელიც იმოდენად ფიდ პირს აღებს, რამოდენადაც დიდს ლუკმას აწვდით და რომელიც რამოდენად ძლიერია, იმდენად აღარიბებს ქვეყანას“... ჰგმობს რა ჩვენი ორატორი „მშიერს მცონარეობას“ და უცხადებს რა თავის თანამგზავრობას „გაჭირვებულ ბეჯითობას“, იგი არკვევს ბანკის დაარსების აზრს და დანიშნულებას. „ბანკი თავად-აზნაურობამ დააწესა იმ განზრახვით, რომ მისგან შეწირული ფული სესხად მოეფინოს ჩვენს ქვეყანასა, მაგრამ ისე მოეფინოს, რომ მაგ ფულის ერთი გროშიც არ დაეკარგოს, სესხმა ფული ასარგებლოს, ფულმა ფული მოიგოს და მხოლოდ ამ მოგებიდამ უფრო ბევრი წილი ჩვენის ქვეყნის საერთო საჭიროებას მოხმარდეს და ზოგი კიდევ ღარიბთა გაუნაწილდეს, იმ ღარიბთა, რომელნიც რომელიმე უბედურების გამო სიღარიბეში ჩაცვივნულან და არა იმათ, ვინც გულდაღმა წვანან, გულზედ ფაფუკი ხელები დაუკრეფნიათ, პირი დაუღიათ და ჰყვირიან, მასვით და მაჭამეთო“... („დროება“ № 16, 1875 წ.)

ასე ელაპარაკებოდა თავად-აზნაურობას ილია ჭავჭავაძე. ასე ხელმეორედ პირის-პირ დადგნენ ძველი და ახალი წესი, ძველი და ახალი თაობა. ეს იყო საბოლოვო და მკაცრი გაკიცხვა იმ წესისა, რომელიც სულ არ იყო ათი წელიწადი, რომ მკვიდრად იდგა ჩვენს ცხოვრებაში. ეს იყო პრაქტიკული განხორციელება „მესამოციანთა“ პრინციპებისა. ამ ახალის წინაშე ძველს აღარა ჰქონდა რა სათქმელი. მისი გაბედულება გაიქარწყლა, მისი კერძოობა შეიკუმშა. თავად-აზნაურობას ან უნდა გადაეყენებინა „კადნიერი“ მოციქული, ან უნდა დასთანხმებოდა მას. იგიც დაეთანხმა, და ბანკმა იწყო თავისი მოქმედება.

მაგრამ აქ მოხდა ერთი ფრიად საყურადღებო ამბავი, რომლის აღუნიშნველობა შეუძლებელია. ილია ჭავჭავაძეს წინ აღუდგა მისივე ამხანაგი—ნ. ნიკოლაძე. ნიკოლაძე შეეკამათა ჭავჭავაძეს, კამათის საგანი, რა თქმა უნდა, „მცონარეობის“ საკითხი არ იყო—ამ საგანში ახალ თაობის წარმომადგენელთა შორის ორი აზრი არ უნდა ყოფილიყო-კამათი აღიძრა სხვა ნიადაგზე. ნ. ნიკოლაძე იწუნებდა ბანკის წესდებას, და აი სწორედ აქ, აღიძრა თუ არა მთელი წყება ფინანსიურ და ეკონომიურ მოსაზრებათა, ორ მოპირდაპირეთა შორის აღმოჩნდა ღრმა წინააღმდეგობა ეკონომიურ ცხოვრების და დებულების განმარტების დროს. ნ. ნიკოლაძე თითქმის ხუთი წლის განმავლობაში სწერდა ქუთაისის ბანკის წესდების წინააღმდეგ, როგორც მკითხველს ეხსომება, დედა-აზრი ნიკოლაძის წერილებისა ის იყო, რომ ბანკს ბევრი ფული უნდა ჰქონდეს, რათა აუვიდეს მრავალ საჭიროებათ ფულს მოიზიდვენ ბანკში ბქციები, თუ რომ აქციების მყიდველებს ეცოდინებოდათ, რომ მათი ფული არ დაიკარგებოდა და ბანკი მტკიცე და კარგ თავდებობას დაანახვებდა. ფულის პატრონები, აქციებისმყიდველნი, დამშვიდებულნი იქნებოდნენ, თუ მთელი თავად-აზნაურობა თავდები იქნებოდა ბანკის ქონების უზრუნველობისშესახებ. ამ ნიადაგზე იწუნებდა ნ. ნიკოლაძე ბ. ლოლობერიძის პროექტს, სადაც ურთიერთი თავდებობა არ იყო, არამედ თავდებობა ბანკში დაგირავებულ უძრავ ქონებისა. ამ საზოგადოებრივ თავდებობაზედ ეხლაც ლაპარაკობს ნ. ნიკოლაძე. იგი კვლავ უბრუნდება ქუთაისის წესდებას- იწუნებს მას. ხოლო ამ წესდებას ესარჩლება ილია ჭავჭავაძე. ილიას უპასუხებს ნ. ნიკოლაძე და გაჩაღდება პოლემიკა, სადაც ბევრი საყურადღებო საკითხი იყო ხლძრული, აქ აღმოჩნდება ორი იდეური მიმართულება, რომელიც თითქოს დასაწყისი იყო მესამოციანების ერთიმეორისაგან განკერძოებისა და მესამოციანთა ჯგუფის მთლიანობის დარღვევისა.

**არჩილ ჯორჯაძე.**

1) აი რა და რა ნაწარმოები შევნიშნეთ ჩვენ სხვა და სხვა ჟურნალ-გაზეთებში. 1866 წელს გაზეთ „დროებაში“ იბეჭდება „სცენები ბატონყმობის განთავისუფლების დროიდგან“. ამავე ხანაში ჩვენი პოეტი აგროვებს სახალხო სიმღერებს და ლექსებს. სამოცდაათიან წლებში რ. ერისთავმა და ილია ჭავჭავაძემ გამოსცეს ამ სიმღერების და ლექსების კრებული. „კრებულის“ დაარსებიდან თითქმის მუდმივ თანამშრომლობს ამ ჟურნალში 1871. (წიგნი პირველი) იბეჭდება „მესმის მესმის სანატრელი ხალხთ ბოროტ კილის ხმა მტირევისა“ (ეს ლექსი დაწერილია 1860 წ). ამავე წელს (წიგნი მეორე): „უცხოეთის ყარიბ მოქმედისა“ წიგნი მეორე—„მგზავრების წერილები“ წიგნი მესამე—„დედა და შვილი“, წიგნი მეოთხე—„ზვარი ვიტანჯე, ვიცი რომ მეღის“... წიგნი მეხუთე—„ბედნიერი ხალხი“. წიგნი მეშვიდე—„ირლანდიისადმი“. წიგნი მერვე—„აჩრდილი“. 1872 წ. (წიგნი პირველი) —იანიჩარი. 1873 წ. წიგნი პირველი) „გლეხის ნაამბობი“ [მეორე ნაწილი. პირველი ნაწილიც არის) წიგნი 5-6. „გლეხური სიმღერები“, „პარიჟი“, (დაწერილი 1871 „კომუნის“ დამხობის შემდეგ)—„ტვირთ მძიმეთ და მაშვრალთ მხსნელი დიდი დროშა დაიშალა“. წიგნი მეცხრე—მეფე ლირი (თარგმანი ილ. ჭავჭავაძისა და ივ. მაჩაბლისა),

ხ ა რ ჯ ი:

1) უფასო დილის გამართვა 26 მ. 50 კ.; 2) იუბილიარის ბიოგრაფიის შედგენა და დაბეჭდვა, ლიტოგრაფიული სურათები, განცხადებები და სხვ. 324 მ. 90 კ.; 3) თეატრის მორთვა-მოწყობა და იუბილიარის დახვედრა 130 მ. 9 კ.; 4) თეატრი, იჯარა 200 მ., 5) მხატვართ იუბილიარის სურათების დასახატავად 65 მ.; 6) სხვა და სხვა ხარჯი 36 მ, 50 კ.; სულ 782 მ. 99 კ.

ამ რიგად შემოსავალია 4044 მ. 68 კაპ.; ხარჯია 782 მ. 99 კ.; რჩება 3261 მ. 69 კ.

ამ ფულიდან მისაღებია: 1) თავად-აზნაურობისაგან 500 მ., 2) ახალ კლუბისაგან 100 მ., 3) იუბილიარს გადაეცა ფულად 601 მ. 69 კ. 4) ტფილისის საურთიერთო სასოფლო-სამეურნეო კრედიტის ბანკში შეტანილია იუბილიარის სახელობაზე 2060 მ.; სულ 3261 მ, 69 კ.

ვრცელი ანგარიში ამ შემოსავალ-გასავლისა წარედგინა საიუბილეო კომიტეტს და მოხსენდა იუბილიარს.

აქვე გაახლებთ იმ დაწესებულებათა, საზოგადო ჯგუფთა და კერძო პირთა სიას, რომელთაგან კომიტეტმა მიიღო შემოწირულებანი:

**საზოგადო დაწესებულებათაგან:**

ტფილისის გუბერნიის ქართველ თავად-აზნაურობის წინამძღოლთა და დეპუტატთა საკრებულოსაგან 500 მ. ტფილისის საარტისტო საზოგადოებისაგან 100 მ. ახალის კლუბისაგან 100 მ., ტფილისის საკრებულოსაგან (სობრანია) 50 მ., ავლაბრის საზოგადო კლუბისაგან 50 მ., ტფილისის ხელოსანთა საზოგადოებისაგან 100 მან., ქუთაისის საურთიერთო საკრედიტო საზოგადოებისაგან 50 მან., ბათუმის ქართველ საზოგადოებისაგან 200 მ., პეტერბურგის ქართველ საზოგადოებისაგან 300 მ.,*) ფოთის ქართველ საზოგადოებისაგან 50 მ., ხარბინის ქართველ საზოგადოებისაგან 104 მ. 65 კ., **) ერევნის ქართველ საზოგადოებისაგან 67 მ., სოფ. იყალთოს საზოგადოებისაგან 35 მ. წინანდლის საუფლისწულო მამულში მოსამსახურე ქართველთაგან 28 მ., დუშეთის ქართველ საზოგადოებისაგან 19 მ., თელავში გამართულ საიუბილეო წარმოდგენის წმინდა შემოსავალი 95 მ. 10 კ., სამტრედიის ქართველ საზოგადოებისაგან 29 მ. 95 კ., ახალციხეში კონსტ. გვარამაძის მიერ შეკრებილი 41 მ. 37 კ., სულ 1920 მ. 7 კ.

**კერძო პირთაგან შემოწირული:**

ქ-ნ ეკატერინე ივანეს ასულ სარაჯიშვილისაგან 200 მ, კნეინა მარიამ ვახტანგის ასულ და თავ. ალექსანდრე ივანეს ძე ჯამბაკურ-ორბელიანთაგან 25 მ., იაკობ ალექსანდრეს ძე მანსვეტაშვილისაგან 25 მ., ადამ ივანეს ძე ფორაქაშვილისაგან 25 მ., ქ-ნ ნინო ქაიხოსროს ასულ ზანდუკელისაგან 25 მ., კნეინა ელისაბედ ელიზბარის ასულ ერისთავის მიერ შეგროვილი 25 მ. 50 კ., ქ-ნ ქეთევან ლუარსაბის ასულ ჟურულის მიერ შეგროვილი 21 მ., ზაქარია დავითის ძე ფორაქაშვილისაგან 20 მ., თავ. იოსებ რევაზის ძე თარხან-მოურავისაგან 15 მ., კნიაჟნა ელენე იოსების ასულ თარხან-მოურავისაგან 10 მ., იაკობ სვიმონის ძე გოგებაშვილისაგან 10 მ., ალექსანდრე პეტრეს ძე სარაჯიშვილისაგან 10 მ., თავ. ვასილ ედიშერის ძე ბაგრატიონ-დავითაშვილისაგან 10 მ., თავ. გიორგი მიხეილის ძე თუმანიშვილისაგან 10., ქ-ნ თინათინ გიორგის ასულ ფორაქაშვილისაგან 10 მ., კონსტანტინე ტარიელის ძე ლორთქიფანიძისაგან 10 მ., თავ. ესტატე მიხეილის ძე მალალაშვილისაგან 10 მ., ვასილ ივანეს ძე დრაგნევიჩისაგან [illegible] მ., დავით პეტრეს ძე ამირეჯიბისაგან 6 მ., ალექსანდრე თევდორეს [illegible] სარაჯიშვილისაგან 5 მ., ალექ[illegible]დრე ნიკოლოზის ძე ჯავახიშვი[illegible]საგან 5 მ., ალექსანდრა ნიკო[illegible]ზის ასულ ჯიჯავაძისაგან 3 მ., [illegible] კაიშაურისაგან 3 მ., ქართველ [illegible]ისტებ შორის საჩუქრის სასყი[illegible]ად შეგროვილ ფულისაგან დარ[illegible]ენილი 12 მ. 70 კ. სულ 506 მ. 20 კ.

**სია პეტერბურგის შემომწირველთა.**

გრაფინია ზარნეკაუ 20 მან., გრ. პეტრე ზარნეკაუ 15 მ., გრ. ნიკ. ზარნეკაუ 10 მ., ბარონ. ბარბ. შეინდორფი 25 მ., კონსტანტინე მუხრანბატონიშვილი 25 მ., ანდრეევა ს. 25 მ., თავ. ანდრია ერისთავი 15 მ., თავ. პროკოპი შერვაშიძე 15 მ., კნ. სოფიო ვლ. თარხნიშვილისა 16 მ. ნად. და ვ. თარხნიშვილები 10 მ., ზურაბ ავალიშვილი 10 მ., თ. სიდამონერისთავი 10 მ., ვ. დუმბაძე 10 მ., თავ. ერისთავი 10 მ., № 10 მ., თავ. ი. ნაკაშიძე 5 მ., №№ 5 მ., თავ. ვლად. ლორთქიფანიძე 5 მ., ვ. კანდელაკი 5 მ., თ. დ. დიასამიძე 5 მ., ს. ლოლობერიძე 5 მ., ი. ავალიშვილი 5 მ., დიმ. მაყაშვილი 5 მ., ზავრიცკი 5 მ., კოტე ჯაყელი 5 მ., თავ. ალ. ერისთავი 5 მ., ალექსეევა 4 მ., ნ. მარი 3 მ., ჭიაბრიშვილი 3 მ., კრინიცკი 3 მ., ბარ. ბრიუცენნ 2 მ., შტოკვიჩ 2 მ., ქ-ნი ლუკელსკაია 1 მ., ი. ჩერქეზიშვილი 1 მ. სულ 300 მანეთი.

**სია ხარბინის შემომწირველთა.**

მგალობლიშვილი გ. ა. 3 მ., კუცია ა. ს. 3 მ., წითლიძე ვ. გ. 3 მ., ხაიდრავა ი. ლ. 3 მ., ქართველი 1 მ., ჯორჯიკია კ. ა. 3 მ., სულხანოვი ნ. რ. 3 მ., ეზეკელი ვ. 1 მ. 50 კ., № 1 მ. ღლონტი 1 მ., № 1 მ., მატახერია ს. ბ. 3 მ., მასხულია ნ. 3 მ., გამყრელიძე ვ. 3 მ., დამენია პ. 7 მ., ჰუპიშვილი (ძმები) 2 მ., გეგენავა დ. 1 მ., ილიკო დუმბაძე 3 მ., აბაშიძე ი. 1 მ., აბაშიძე ლ. 5 მ., რევია ს. 3 მ., ქაჯაია ნ. 2 მ., დოგონაძე მ. ბ. 2 მ., დანელია ყ. ე. 2 მ., უთა ვახანია 2 მ., გრძელოვი ს. 2 მ., გრძელოვი ვ. 2 მ., ავეტიკოვი ბ. 5 მ., ძიძიგური გ. 2 მ., თეიმურაზოვი ნ. 3 მ.. ნამგალაძე გ. შუშანია ო. 3 მ., ელიაშვილი გ. 1 მ., ცინცაძე პ. 3 მ., ნადიევი მ. 1 მ., გრიგული 1 მ., აბესაძე ა. 2 მ., ტერარაქელოვი ბ. 2 მ., მამაგეიშვილი ვ. 1 მ., ჩიხლაძე მ. ნ. 3 მ., ჩხაიძე კ. 1 მ., კიზირია ი. 3 მ., ეძგვერაძე ა. 1 მ-, ბავლიშვილი ვ. ზ. 3 მ., გიგიბერია გ, 1 მ., ხელაია გ. 3 მ., გოგვაძე ი. 3 მ., პაატაშვილი ი, ლ. 3 მა., ჭითანავა კ. 2 მ., როფაქიძე ბ. ი. 3 მ., ესაკია ვ. 1 მ. სულ 117 მ. 50 კ.

საიუბილეო კომიტეტის ხაზინადარი **კნ. ანასტასია მაჩაბლისა.**

*) გაახლებთ ცალკე სიას დასაბეჭდად.
**) ბრეთვე გაახლებთ ცალკე სიას.

# რუსეთი, ოსმალეთი და იტალია

**დეპეშები**

**სტამბოლი.** ბოლოს დროს გამწვავებული მდგომარეობა გამობრუნების გზას დაადგა. გადასწყვიტეს ურმიაში ოსმალეთის გენერალი გაჰგზავნონ. უნდა გაჰგზავნონ აგრედვე გარეშე საქმეთა სამინისტროს ინსპექტორი, ურმიაში მყოფ ოსმალეთის წარმომადგენელთა მოქმედების გამოსარკვევად. ურმიაში ჯარს აღარ გაჰგზავნიან. 12 მარტს სპარსელ-ოსმალთა კომისია სხდომასა ჰმართავს საზღვრების გამო ჩამოვარდნილ დავის მოსაგვარებლად.

**რომი.** პრესასა და პარლამენტში დიდი მითქმა-მოთქმაა სასტრატეგო საკითხების გამო. „კორიერე-დ·იტალია" სწერს სახელმწიფოთა მოქმედების გამო, იტალიას დახმარება კი არა, თავისუფალ მოქმედების ნებართვა უნდაო. აღნიშნავენ აგრედვე, რომ ყველაზე გულწრფელად და მეგობრულად რუსეთი მოიქცაო.

**პეტერბურგი.** სტამბოლის საკონსულომ საზღვაო განყოფილებას აცნობა 29 თებერვლიდან სავაჭრო გემებს მხოლოდ მაშინ გაატარებენ დარდანელში, თუ ლოცმანთა გემი გააცილებს. იალქნიანი გემები ორთქლმავალს უნდა გამოაბან და პატრონეამა ამის გულისათვის ფასი უნდა გადაიხადონო.

**სტამბოლი.** ურმიაში გამწესებული შინაგან საქმეთა სამინისტროს ინსპექტორი ალი-საიდ-ბეი დღეს ბათუმისა და ერევნის გზით ვანს მიდის. აქედან გზას განაგრძობს მეორე კორპუსის უფროს ჯაბირ-პაშასთან ერთად. ორსავე მოხელეს უფლება აქვთ დაპყრობილ ადგილებში სამსახურიდან გადააყენონ ისინი, ვინც თავნებობდა და განკარგულება გამოსცა ჯარის მოძრაობისა და სხვათა შესახებ. მათ უნდა აიძულონ ადგილობრივი მცხოვრებნი წმინდად აასრულონ სტამბოლიდან გამოგზავნილი განკარგულებანი.

გაზეთები დაუკმაყოფილებია დეპეშათა პეტერბურგის სააგენტოს განმარტებას, კავკასიაში ჯარის მოძრაობის თაობაზე. „ტანინი" ამბობს, ევროპასავით ოსმალეთიც დარწმუნებულია, რომ რუსეთს მშვიდობიანობის დარღვევა არა ჰსურსო.

**ურმია.** ადერბეიჯანში მდგარ რუსის ჯარის უფროსი გენერალი ვოროპანოვი ჩამოვიდა. ჩამოსულს მიეგებნენ საკონსულო, ახალშენელები და სპარსეთის მთავრობის წარმომადგენელნი,

**გ ა ზ ე თ ე ბ ი დ ა ნ**

საფრანგეთის გაზეთები, როგორც „რუსკ. სლოვო" გადმოგვცემს, ძალიან ბევრსა სწერენ იმის შესახებ, რომ რუსეთსა და იტალიას განზრახვა აქვთ ერთად იმოქმედონ ოსმალეთის წინააღმდეგ. საფრანგეთის გაზეთები რუსეთის ოფიციალურ განცხადებებს არ უჯერებენ და ფიქრობენ, რუსეთის გამოსვლამ შეიძლება მახლობელ აღმოსავლეთში საპოლიტიკო რუქა სრულიად შესცვალოსო. საფრანგეთისავე პრესის სიტყვით, სხვა და სხვა სახელმწიფოთ ამ ჟამად მოლაპარაკება აქვთ, რომ რომელიმე სახელმწიფომ დამოუკიდებლად არ დაიწყოს მოქმედება მახლობელ აღმოსავლეთში.

—

როგორც პეტერბურგიდან ატყობინებენ „რუსკ. სლოვო"-ს, ოსმალეთის მთავრობა ოფიციალურად აცხადებს, რუსეთ-სპარსეთის საზღვარზე ანატოლიის კორპუსი არ გამიგზავნიაო.

—

იმავე გაზეთს პეტერბურგიდან ატყობინებენ, ოსმალეთში დანიშნულ ახალ ელჩის მიზანი უნდა იყოს, რუსეთის პრესტიჟისა და სახელის აღდგენა ბოსფორზე. ამასთანავე ახალი ელჩი უნდა შეეცადოს, დაიცვას sfatus quo, არსებული ძალთა გაწონასწორება, რამდენადაც კი ეს დღევანდელ პოლიტიკურ პირობებში მოხერხდება.

—

ბერლინიდან „რუსკოე სლოვო"-ს ატყობინებენ, ოსმალეთის ელჩმა ოფიციალურად შეატყობინა გარეშე საქმეთა მინისტრს კიდერლენვეხტერს, ოსმალეთს ვერ შეუძლიან იტალიის ზავის პირობები მიიღოსო.

—

ბერლინიდან „რუსკ. სლოვო"-ს ატყობინებენ, გაზაფხულზე იტალიის მეფე ვიქტორ-ემმანუილი პეტერბურგს ინახულებსო.

# გაფიცვები

**დეპეშები.**

**ხელფასის ბილლი.**

**ლონდონი.** საზოგადოებათა პალატა. ბალფურმა აღნიშნა, ხელფასის მინიმუმის პროექტი მიზანს ვერ მიაღწევსო. მთავრობამ პალატა არ უნდა აიძულოს დიდი ცვლილება მოახდინოს, მაგრამ თუ ბილლი მეორედ განხილვის შემდეგ მიიღეს, ოპოზიცია დაეხმარება მთავრობასაო. თუ მთავრობა დამარცხდა, არ უნდა დაითხოვოს პალატა, გაფიცვას ეს უხერხულებაც არ უნდა დაუმატოსო. ბალფურმა ყველას გააგებინა, ობსტრუქციას მივმართოვო. ასკვიტმა მოითხოვა ბილლის აუცილებლად მიღება. მუშათა პარტიამ მოითხოვა, ვინც მიწის-ქვეშ მუშაობს, დღეში 2 მან. 50 კ. დაწესება. მოითხოვა აგრედვე, რომ 2 თებერვალს შემუშავებული ხელფასის რაოდენობა ბილში აღინიშნოს. ამბობენ, მთავრობა პირველს მოთხოვნილებას შეიწყნარებს, მეორეს კი უარჰყოფსო. მაშინ ბილლს ჩქარა დაამტკიცებენ.

გრეის სიტყვის შემდეგ ხელფასის მინიმუმი მიიღეს ხელ-მეორედ განხილვისას 348 ხმით 225 წინაალმდეგ. ბილლის მომხრეთა უმრავლესობა მუშათა პარტია და ირლანდიელები იყვნენ.

ბილლის მუხლობრივ განხილვის დროს ასკვიტი წინააღმდეგი იყო შესწორებისა, რაიც მუშათათვის დღეში 5 შილინგის დაწესებას (შილინგი 60 კ. უდრის) მოითხოვდა. ბონარ-ლოუმ მთავრობას მხარი დაუჭირა, სამთამადანო მუშათა კავშირის თავმჯდომარემ ედუარდმა განაცხადა, საქმეს გაამწვავებთ, თუ შესწორებას არ შეიწყნარებთო. მაღაროს პატრონმა ლიბერალმა მარკჰემმა შესწორების მიღება მოითხოვა.

შესწორება უარჰყვეს მას შემდეგ, როდესაც გაიგეს, რომ საკითხს მეორედ განიხილავენ. ხმა დავარდა, დამქირავებელთა და მუშათა შორის მოლაპარაკებაა გამართულიო.

ჩრდილოეთ უელსის სამთამადნო მუშები პარლამენტის გუშინდელ კამათს დაუკმაყოფილებია და ორშაბათს მუშაობის დაწყებას აპირებენ. აქა იქ საყვედური ისმის გაფიცვის ფონდის სწრაფად დახარჯვის გამო.

**ჟურნალისტის დასჯა.**

**ლონდონი.** ჟურნალისტ ბოუმანსა და მესტამბეთ ძმ. ბეკკებს გადაუწყვიტეს: პირველს 9 თვით დაპატიმრება, დანარჩენთ — ნახევრის წლით ციხე. სასჯელი დაადეს „სინდიკალისტში" დაბეჭდილ წერილის გამო. წერილი მოუწოდებდა ინგლისის ჯარის-კაცებს, თუნდაც გიბრძანონ, გაფიცულებს მაინც ნუ ესვრითო.

**გ ა ზ ე თ ე ბ ი დ ა ნ.**

**ინგლისელ დამქირავებელთა საჩივარი.**

ვალის ოლქის მაღაროების პატრონებმა პარლამენტს მემორანდუმი წარუდგინეს: მუშების მოთხოვნილებანი რო ავასრულოთ და ხელფასი 27%-ით გავადიდოთ, იძულებულნი გავხდებით მაღაროების ნახევარი რიცხვი გავაუქმოთო. მუშათა მოთხოვნილების შესრულება, ძლიერ დააძვირებს ქვა-ნახშირსა, ბევრს დამქირავებელს გააკოტრებს და ბევრი იზარალებს, რადგან თავის დროზე ვერ გამზადებს შენაკვეთსაო.

**გ ე რ მ ა ნ ი ა.**

რურის ოლქში გაფიცვა თანდათან სუსტდება. მუშებმა ზოგგან უკვე დაიწყეს მუშაობა. გაფიცულია მუშათა რიცხვის ნახევარი. შეტაკება არ მომხდარა.

საქსონიაში გაფიცულია 24 ათასი მუშა.

**პრუსიის პარლამენტში.**

პრუსიის ლანტტაგში დიდი აურზაური ასტყდა სხდომაზე. განსახილველი იყო ხუთი შეკითხვა გაფიცვის თაობაზე.

კონსერვატორებმა, მაიორმა სტრასერმა და ბარონმა ზედლიცმა დაუწყეს სოციალ-დემოკრატებს ლანძღვა და დასძინეს, გაფიცვა მათმა თავმოყვარეობამ გამოიწვია, ჰსურდათ პარტიის ძალ-ღონე ეცადნოთო.

ბარონმა ზედლიცმა სთქვა: „მხოლოდ სოციალ-დემოკრატების დამარცხება მიანიჭებს გერმანიას საეკონომიო მშვიდობიანობასაო". ამ სიტყვებმა ყველა ააღელვა.

ლიბკნეხტი წამოვარდა და გაფითრებულმა წამოიძახა; „ეს საძაგლობაა!" თავმჯდომარემ შენიშვნა მისცა. ლიბკნეხტმა გაიმეორა ნათქვამი. მემარჯვენენი ყვირიან: „ძირს ლიბკნეხტი, გააგდეთ ეგ უმსგავსიო". სოციალ-დემოკრატებმა ძლივს-ძლივობით დაამშვიდეს ლიბკნეხტი.

ყურადღების ღირსი იყო თავისუფალ მოაზრის პაშნიკეს სიტყვა. მან მიუდგომლად დაასურათა საქმის ვითარება. პაშნიკემ დაჰგმო მაღაროების პატრონები: მათმა ჯიუტობამ გამოიწვია გაფიცვაო. მოლაპარაკემ მთავრობას შუამავლობა სთხოვა. კამათი შემდეგ განაგრძეს.

**საფრანგეთში.**

პადე-კალეს დეპარტამენტში სრულიად მოულოდნელად გაფიცვა დაიწყო. მაღაროებს ჯარი იცავს. გაფიცულებმა სხვა ოლქებში კომისარები დაჰგზავნეს.

**ბელგიაში.**

ბელგიის მაღაროების მუშათა კონგრესი 24 მარტს მოხდება. განსახილველია: ხელფასის მინიმუმის საკითხი და მაღაროების პატრონთა მიერ აღიარება მუშათა ეროვნულ სარაიონო ფედერაციებისა.

**ავსტრია.**

ბოჰემიის ჩრდილო-დასავლეთისა, ბრუქსისა და ტეპლიცის ოლქის დელეგატებმა გადასწყვიტეს, 31 მარტს გაფიცვა, გამოაცხადონ თუ დამქირავებელნი გაჯიუტდებიან და მუშებს არ დაუთმობენ.

ბრუქსის ოლქის მუშები ხვალიდან იწყებენ გაფიცვას.

**გაფიცვის გავლენა.**

ინგლისიდან ქვანახშირი ველარ მოაქვთ და ამიტომ ბელგიაში ქვანახშირის ნაკლებობაა. მისმა ფასმა ერთი ორად იმატა.

# დეპეშები

(დეპეშათა პეტერბ. სააგენტო)

**ს ა ზ ღ ვ ა რ - გ ა რ ე დ.**

9 მარტი.

**ავსტრია და ოსმალეთი**

**სტამბოლი.** ავსტრიამ პროტესტი განაცხადა იმის გამო, რომ ბოიანის სათავესთან ოსმალთა ბატარეიებმა ავსტრიის გემს ზარბაზანი დაუშინ ეს. გამოირკვა, რომ ბატარეებს ნება ჰქონიათ სროლისა: გემისათვის წინადადება მიუციათ გაჩერდიო და გემი კი არ გაჩერებულა.

**იტალიის ნაღმოსანი.**

**ლონდონი** „რეიტრს" დეპეშით ატყობინებენ, იტალიის ნაღმოსანმა პერიმის დასავლეთის ნაპირებს ზარბაზანი დაუშინაო.

**ავსტრიის პალატა.**

**ვენა.** დეპუტატთა პალატა. კამათი იყო აღმოსავლეთ გალიციის არჩევნების გამო. რუსთა საეროვნო პარტიის დეპუტატმა მარკოვმა განაცხადა, წინააღმდეგი ვარ არჩევნების მართებულად აღიარებისა, რადგანაც ეხლანდელ რეჟიმის გამო შეუძლებელია ესაო. კენჭი უყარეს საკითხს და არჩევნები მართებულად აღიარეს.

**საფრანგეთის პალატა,**

**პარიზი.** მემარცხენეებმა პუანკარეს სთხოვეს, დაგვეხმარე საარჩევნო რეფორმის კანონპროექტის ხელმეორედ განხილვის მოთხოვნილებაშიო. პუანკარემ უპასუხა, მაგ საკითხს მინისტრთა საბჭოს მივანდობო, მაგრამ რეფორმებს უეჭველად რესპუბლიკელთა უმრავლესობის დახმარებით გავიყვანო.

**დანაშაულის პატიება.**

**ლვოვი.** უკრაინელს 101 სტუდენტსა, რომელთაც ლვოვის უნივერსიტეტის არეულობაში მიიღეს მონაწილეობა, იმპერატორმა დანაშაული აპატია.

**ქარიშხალი იაპონიაში**

**ტოკიო.** საშინელ ქარიშხლის დროს ცეცხლი მოედო და მთლად გადაიბუგა 1200 სახლი და ხე-ტყის საწყობი. ჩრდილოეთ იაპონიაში ძლიერი ქარიშხალია. მიმოსვლა რკინის გზაზე შეწყვეტილია, ტელეგრაფი არ მუშაობს.

**რ უ ს ე თ ი**

**ბობრინსკის ლექცია**

**ორიოლი.** სათათბიროს წევრმა გრაფმა ვლადიმერ ბობრინსკიმ წაიკითხა ლექცია: „ნაციონალიზმი რუსეთის დამონებულ ერებში".

**გამწესებანი.**

**პეტერბურგი.** თურქესტნის სამხედრო-საოლქო სასამართლოს თავმჯდომარე კორეიო გაამწესეს ოდესის სასამართლოს თავმჯდომარედ.

# შემოწირულება

**„საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებას"**

1. მღვდელმა **კირილე კელენჯერიძემ** შემოსწირა: ა) სამოციქულო (ხუცური), დაბეჭდილი დ. საჩხერეში 1815 წელს; ბ) კონდაკი (ხუცური), დაბეჭდილი ტფილისს 1710 წელს.

2. ანასტასია (ტასო) ალექსანდრეს ასულმა **ეგაძისამ**—ერთი ძველი არაბული ვერცხლის ფული.

3. კონსტანტინე დიმიტრის ძემ **ყიფიანმა**—მაბლის თხზულება „Объ изученіи Исторіи" переводъ Чиляева, 1812 წლისა.

4. პეტრე ივანეს ძემ **ყირსქესალოვმა:** ა) ხელნაწერი „ეკლესიის ცხოვრება", გადაწერილი 1822—1824 წ.; ბ) ხელნაწერი „მოთხრობანი ძველი აღთქმიდან"; გ) ხელნაწერი „საეტლო და სამთვარიო".

5. ნინო სოლომონის ასულმა და ქეთევან სოფრომის ასულმა **ბიწკინაშვილებისამ** ფერადი წამლებით ნახატი სურათი დიდის მთავრის ნიკოლოზ ალექსანდრეს ძისა (ყმაწვილობაში). ეს სურათი გადმოსცა საზოგადოებას მღვდელმა ილია შუბლაძემ.

6. გიორგი დავითის ძემ **ერისთავმა**——ერთი ძველებური კაჟიანი თოფი.

7. ივანე **გულისაშვილმა:** ა) ორი ძველებური ხანჯალი: ერთი ბრინჯაოსი და მეორე რკინისა (სოფ. პატარძეულიდან); ბ) 23 ძველებური შავი ფული.

8. ანასტასია (ტასო) **გულისაშვილისამ**—ერთი ნაკერი უწინდელი ტილოს ნიმუში.

9. კბილის ექიმმა ვარლამ **ჭიჭინაძემ**—36 ძველებური ფული: 3 ვერცხლისა და 33 სპილენძისა.

10. ალექსი ივანეს ძემ **მირიანაშვილმა**—ლაშა გიორგის ერთი ძველი შავი ფული.

11. აქსენტი **ნაკაშიძემ**—ფულად 10 მანათი.

13. ვლადიმერ **წერეთელმა**—ფულადვე 10 მანათი.

14. პავლე **მაჭავარიანმა**—ფულად 5 მანათი.

შემომწირველთ საზოგადოების საბჭო მადლობასა სწირავს.

საზოგადოების მდივანი **ს. გორგაძე.**

# თეატრი და ხელოვნება

**ჭიათურა**—კვირას, 4 მარტს, ჩვენმა დრამატიულმა დასმა ითამაშა ოსტროვსკის ოთხ-მოქმედებიანი დრამა: „უდანაშაულოთ დასჯილნი".

წარმოდგენამ როგორც ყოველთვის შვენივრად ჩაიარა. საზოგადოდ ჩვენი დასი ამ ბოლო დროს ძლიერ გამოკეთდა.

სალმოუფხვრელი შთაბეჭდილება დასტოვა ამ საღამოს **ვალ. შალიკაშვილის** მოხდენილმა თამაშმა. მან უნაკლულოდ და სავსებით დაგვიხატა კომიკ შმაგას მდგომარეობა. მისი „ლოთების სამოთხესადმი" ლტოლვილება. მოხდენილად ჩაატარა თავის როლი ბ-მა **ნ. გვარაძემ.** (ნეზნამოვი.

ქ-ი **ჯავახიშვილი** კარგი იყო მეტადრე იმ ალაგას, როდესაც ის ნესტრიუტოვს მოუყვება თავის თავგადასავალს, რომელშიაც არის ჩამარხული აუარებელი ტანჯვა, ვაება, სიობლე. მისი [illegible] გულის სიღრმიდან იყო ამონახეთქი. ასე რომ, [illegible].

ამ საღამოს ასეთივე ყურადღება მიიპყრო ქ-ნმა **ლოლუამ.** ის ასეთი კარგი არასოდეს არ გვინახია. არაუშავდა რა ბ-ნ **გ. ანთელიძეს.** სუსტობდა ვარაზაშვილი.

კვირას, 11 მარტს ითამაშებენ ზუდერმანის ოთხ-მოქმედებიან დრამას: „ივანობის ღამე". **ბაი--შვილი.**

**დ. სამტრედია.** 4 მარტს, ქუთაისის ქართველ მსახიობთა ამხანაგობამ რკინის გზის თეატრში, ითამაშეს კ. მესხის ოთხ მოქ. ისტორიული დრამა ბაგრატ IV.

**ქ. ახალციხე.** 21 თებერვალს, ადგილ. სცენის მოყვარეთაგან, ქ-ნი ევგენია ასათიანის თაოსნობით მსახიობი ქალის ქ-ნი მარიამ საფაროვაბაშიძის 32 წლის მოღვაწეობის პატივსაცემად ქალ. საზოგადოების საკრებულოს დარბაზში გაიმართა ქართული წარმოდგენა, რომლის შემოსავალიც რაბათის ძველი სცენის განსაახლებლად იყო დანიშნული. ითამაშეს იერ. გულისაშვილის 4 მოქ. დრ. „ცხოვრება ბრძოლაა".

დასაწყისში საზოგმდოებას გააცნეს იუბილიარი ქალის ბიოგრაფია. შეასრულეს რაოდენიმე ხალხური სიმღერები, რომელთა შორის საუცხოოდ იქმნა შესრულებული კნ. თ. ამირაჯიბისა და მ. ამირაჯიბის მიერ, მეტადრე „გადმიშვი მთაო" და „სამშობლოვ სად გაჰქრა დრო დიდებული"...

წარმოდგენის დასასრულ გაიმართა ცეკვა. წარმოდგენას ბლომად დაესწრო ხალხი. დიდი ნასიამოვნებიც დარჩნენ. შემოვიდა 145 მან. ხარჯს გარდა დარჩა 90 მანეთამდე.

წარმოდგენამ ჩინებულად ჩაიარა. ჯერ არ გვახსოვს რომ ჩვენ სცენის მოყვარეებს, ასე დიდებულად ჩაეტარებინოთ ქართული წარმოდგენა.

ამ პიესის დადგმა ბევრჯერ განიძრახეს ჩვენმა სც. მოყვარეებმა, მაგრამ ჩვენი მოუწყობელი სცენის გამო, ყოველთვის მოუხერხებელი გახდა მისი დადგმა ამ უკანასკნელ დროს კი აღარ დაერიდნენ ამ დამაბრკოლებელ მიზეზებსა, გაჰბედეს დადგმა და ჩინებულადაც შეასრულეს. თქმა არ უნდა, რო სულით და გულით მოჰკიდებიან საქმეს, რაც მიეწერება საიუბილეო კომისიის უნარს, რომელსაც ეს, საიუბილეო წარმოდგენის გამართვა უნდა მოეწყო, (7—8 სული შედიოდა ამ კომისიაში); მაშასადამე ადგილობრივი დრამატიული დასი რო დაარსდეს, ეჭვი არაა, რომ სულ ასე ჩინებულად იქნება ჩვენში წარმოდგენის საქმეები. სმუდამო დრამატიული დასი მით უფრო საჭიროა ჩვენში, რომ რაბათის მომავალი განახლებული სცენა აუცილებლად საჭიროებს ამას, სადაც ხშირად დაიდგმება სახალხო წარმოდგენები. იმედია, ასეთი დასის შედგენას ახლავე შეუდგება ადგილობრივი ქართველი საზოგადოება და განსაახლებელ სცენას წესიერ გემოვნებაზედაც მოაწყობს.

რაბათის სცენის განსაახლებლად ამ წარმოდგენიდან 90 მან. რჩება. 10 მან. შარშანდელი წარმოდგენიდან არის დარჩენილი, ამავე სცენისათვის, რომელიც მოსწავლე იაკ. ვარძელაშვილთან არის სარგებლით მიცემული. 50 მანეთიც ქ-ნ ქსენია ჯუღელთან არის საკვირაო სკოლის ფონდი, რომელიც, როგორც გავიგეთ ამავე სცენას უნდა დაუთმოს. ქ-ნმა ჯუღელმა ჩემი წინადადებით ან საზოგადოების გადაწყვეტილებით, რის სურვილიც ყველამ განაცხადა, რო იგი 50 მან. გადაეცეს რაბათის სცენის მოსაწყობად. ამგვარად ჯერ-ჯერობით 150 მან. გვექნება. თუ ახლავე შეუდგებიან დრამატიულ დასის შედგენას, ამ თანხასაც სცენის მოსაწყობად ეს დასი მოიხმარს.

**მოკეთე.**

დღეს **„ნაძალადევი"-ს თეატრში** წარმოდგენილ იქნება **„ლალატი"** მსახიობ. ელ. ჩიქოვანის საბენეფისოდ.

**ოზურგეთი.** თანახმად დაპირებისა ოზურგეთის ინტლიგენციამ 26 თებერვალს გამართა წარმოგენა და კონცერტი ქ-ნ **მარიამ საფაროვაბაშიძის სასარგებლოდ.** თუმცა ბევრს ცდილიყვენ, მაგგრამ წარმოდგენას მაინც აკლდა სადღესასწაულო ელფერი. ვინ იფიქრებდა თუ გამგენი ვერ შესძლებდნენ იუბილიარის დიდი სურათის შეძენას! ისედაც დიდ ხანს ჩამოშორებული ქართულ სცენას, ქ-ნი საფაროვაბაშიძისა სრულიად უცნობი პიროვნებაა ოზურგეთელებისათვის. კიდევ კარგი, რომ ბიოგრაფიის წაკითხვისთვის მოესმინათ, მაგრამ გამაყრუე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბელმა ხმაურობამ ბ-ნ თ. გოგიტიძის მიერ წაკითხულ ბიოგრაფიიდან შეუძლებელი გახადა თუნდ ერთი სიტყვის გაგონებაც. ასეთი უწესოება გამოიწვია ბილეთების გათავების შემდეგ კონტრა--მარკების გაცემამ. მსურველი წარმოდგენაზე დასაწრებისა აუარებელი იყო.

ითამაშეს სამმოქმედებიან ისტორიული დრამ „მარუჩა.“ უმთავრესი როლი აელო ქ-ნს. ბახტაძეს და სამართლიანადაც. უგვარ-ტომო, დაბრიყვებულ და თავის დროზე ამაყ და შეუპოვარ მარუჩას უნაკლულოდ გვიხატავდა ის. **ქ-ნი ბახტაძე**, ვგონებ, პირველად გამოდის ოზურგეთის სცენაზე და პირველიდანვე მისი მიმიკა და გრძნობიერი თამაში შესაფერ შთაბეჭდილებას სტოვებს. **ქ-ნი მ. ჯაყელის** თამაშს. მანის როლში აკლდა ის თბილი გრძნობა, რომელიც ბუნებრივი თანამგზავრია სიყვარულისა. კარგი იყო **ქ-ნი გ. გოგიტიძე** პიეტროს როლში, რომ მას ჩვეულებად არ ჰქონდეს სიტყვის უკანასკნელ ასოზე ხანგრძლივ შეჩერება. დიდი ხანია რაც თამაშობს ოზურგეთის სცენაზე **ბ-ნი ს. ხურციძე**; მას ყოველგვარი როლი ეხერხება. ამ ღამესაც მან უნაკლულოდ დაგვიხატა სამშობლოსათვის თავგანწირული მოძღვარი, მაგრამ უმჯობესი იქნებოდა შაჰის როლში გამოსულიყო ის, რადგან ბ-ნ **ფონ-შტერის** ბუნებით სუსტი ხმა შაჰის მრისხანების გამოსახატავად უძლური იყო. დრამატიული ხმა ბ-ნ ხურციძეს უფრო უვარგა. ბ-ნი დემუროვის ხმაც რბილია და ამიტომ უხერხული იყო მისი თამაში, ისმაილ-ბეგის როლში. ვეზირების როლს თამაშობდნენ ბ. ბ. ხურციძე და გ. ქარცივაძე.

საკონცერტო განყოფილებაში ბ-ნ დ. სიმვულიდის ლოტბარობით შეასრულეს „წითელ-წითელი,“—შენ არზრუმის„—ბროლის ყელსა„—Ой подъ горой“--სამშობლ“—Хоръпа стуховъ и пастушек«—გოგონა „და ჩიტი გვრიტი“. ამათგან საზოგადობას ძლიერ მოეწონა „სამშობლო“ და გაამეორებინეს. გაამეორებინეს აგრედვე „ბროლის ყელსა“ და დუეტი „Воскресено утро“, რომელიც იმღერეს ქ-ნ ს. დუმბაძემ და ქ-ნ დ. სიმვულიდმა.

**Duo**

# წერილი რედ. მიმართ

დიდად პატივცემულო ბატონო რედაქტორო!

გიგზავნით ამასთანავე 40 მ. 78 კ. მსახიობ მარიამ საფაროვ-აბაშიძის გადასაცემად და უმორჩილესად გთხოვთ ადგილი დაუთმოთ, თქვენს პატივცემულ გაზეთში საფაროვ-აბაშიძის იუბილეს აღსანიშნავად ქ. ოზურგეთში 26 თებერვალს გამართულ იაფ ფასიან საღამოს ანგარიშს:

**შემოსავალი:** ბილეთებიდან 95 მ. 50 კ. ბუფეტიდან 20 მ. 84 კ. პროგრამების 1 მ. 60 კ. შემოწირულება 3 მ. 90 კ. სულ 121 მ. 84 კ.

**გასავალი:** აფიშებისა, ბილეთებისა, პროგრამისა 13 მ. 20 კ. ბუფეტისა 9 მ. 96 კ. მარკების 4 მ. 73 კ. პარიკმახერს 7 მ. მოსამსახურეს 9 მ. სამკითხველოს 5 მ. წიგნებისა და თხოვნის მარკისა 2 მ. 80 კ. ტანისამოსები 14 მ. 77 კ. მომავალ თეატრს (კომისიის დადგენილებით) 17 მან. 60 კ.

დიდი მადლობის ღირსნი არიან: ქ. ქ. ს. ბახტაძე, მ. ჯაყელი, ბ. ბ. გ. გოგიტიძე, ვ. დემუროვი, გ. ქარცივაძე, ს. ხურციძე, ბ. შარაშანიძე „მარუჩას მშვენივრად დადგმისთვის.

ქ. ქ. კიკილო, მატუა, პაშა, მარგალიტა. კატუშა, სონია და თამარა დუმბაძის ასულნი, ვ. ორაგველიძე, მ. ქადეიშვილი, ფ. და ც. წუწუნავას ასულნი. მ. შავიშვილისა ბ. ბ. ვ. აროშიძე ვ. დუმბაძე, გ. ქარცივაძე, მ. ნაკაშიძე. ტრაპაიდე, ვ. ხაფთასი და სხვები ხოროში მონაწილეობისათვის. ბ. ბ. მ. სიმვოლიტი და მ. სირაძე ხოროს საუცხოვოთ მოწყობისათვის. ქ. ქ. მ. გოგიტიძე, მ. თალაკვაძე, თ. კიკვაძე, ალ. კალანდაძე, ნ. ჩიმაკაძე და სხვები საღამოს მოწყობაში მონაწილეობისათვის.

პატივისცემით გამგე საღამოსი

**ვასილი ხუნდაძე.**

რედაქციამ ეს ფული მიიღო **რედ.**

ბატონო რედაქტორო!

უმორჩილესად გთხოვთ ნება მომცეთ თქვენის პატივცემულ გაზეთის საშუალებით ულრმესი მადლობა გამოვუცხადო გიორგი ლუკას ძე ბაქრაძეს ჟურნალ „ნაკადულის დაკვეთისათვის, ერთი წლით ჩემდა რწმუნებულ ხაშმის სამინისტრო სასწავლებლისათვის.

ხაშმის სამინისტრო სკოლის გამგე

**ა. ე. მოზდოკელი.**

ნება მიბოძეთ ხაშმიდან მოწერილ ცნობების ავტორს **„მოკეთეს“** (სახალხო გაზეთი № 538) და სხვა დაინტერესებულ პირთ, ვაცნობო შემდეგი: მართალია მე და ანდრია ქოქრაშვილმა 1907 წელს იჯარით ავიღეთ სოფ. ხაშმის სასოფლო მამული ცხრა წლით. პირველ წელიწადს უნდა გადაგვეხადნა ათი თუმანი. მერე კი ყოველ წლივ ორ-ორი თუმანი მოგვემატებინა.

მე ერთის წლის შემდეგ გავასწორე ანგარიში ჩემს მოზიარესთან და მთელი იჯარა სრულებით გადავეცი ანდრია ქოქრაშვილს. ჩემი წილი საიჯარო ფული (50 მან.) გაუბარე სოფელს ორი თვის ჯამაგირით, რაც მერგებოდა როგორც მასწავლებელს.

**ვ. პ. გოგნიაშვილი.**

**რედაქტორ-გამომცემელი ნ. კურდღელაშვილი.**

# გამოსადეგი ცნობა

## მატარებელთა მიმოსვლა

**ზამთრობით** (15 ოქტომბრიდან 1911 წ.)
(დრო ტფილის. საათითაა ნაჩვენები, რომელიც პეტერბურგისაზე 58 წ. არის წინ).

### ტფილისიდან გადის.

**ბათუმისაკენ:** 1) სამგზავრ. მატარ. № 7, I—III კლ., ხაღ. 10 ს. 38 წ., გორში 1 ს. 25 წ., მიხაილოვში 3 ს. 8 წ., რიონში დილ. 7 ს. 52 წ., ბათუმში 1 ს. 42 წ.

2) სამგზ. მატ. № 5, I—III კლ. საღ. 5. ს. 45 წ., გორში 8 ს. 24 წ., მიხაილოვში 9 ს. 51 წ., რიონში 1 ს. 54 წ., ბათუმში დილის 6 საათ. 26 წ.

3) საფოსტო მატ. დილ. 9 ს. 50 წ., გორში 12 ს. 27 წ., მიხაილოვში 1 ს. 56 წ., რიონში დილ. 6 ს. 17 წ., ბათუმში 11 ს. 13 წ.

**ბაქოსაკენ:** 1) ჩქარი მატ. № 2, I—III კლ. დილ. 10 ს. 20 წ., განჯაში 3 ს. 18 წ., ბალაჯარში ღამ. 11 ს. 16 წ., ბაქოში 11 ს. 43 წ.

2) სამგზ. მატ. № 6, I—II კლ. დღ. 3 ს. 38 წ., განჯაში ღამ. 9 ს. 46 წ., ბალაჯარში დილ. 7 ს. 34 წ., ბაქოში 8 ს. 11 წ.

3) საფოსტო მატ. № 4, I—III კლ. ღამ. 11 ს. 18 წ., განჯაში 5 ს. 29 წ., ბალაჯარში დღ. 3 ს. 30 წ., ბაქოში 4 ს. 42 წ.

4) შერეულ. მატ. № 106, IV—III კლ. დილ. 5 ს. 32 წ., განჯაში 2 ს. 57 წ., ბალაჯარში დილ. 5 ს. 58 წ., ბაქოში 7 ს. 12 წ.

**ბორჯომისაკენ:** 1) სამგზ. მატარებ. № 9/66, I—III კლ, დღ. 3 ს. 23 წ., ბორჯომში 9 ს. 2 წ.

**ჯულფასა და ერევნისაკენ:** 1) საფოსტო მატ. № 74/75, I—III კლ. საღ. 1 ს. 48 წ. ჯულფაში მეორე დღის საღ. 11 ს. 10 წ.

2) სამგზ.-საქონლ. მატარ. № 78—79, II—III კლ. დღ. 5 ს. 34 წ., ერევანში დილის 11 ს. 6 წ.

### ტფილისში მოდის.

**ბათომიდან;** 1) სამგზ. № 6, I—III კლ. 2 ს. 50 ს. საფოსტ. № 4, I—III კლ. დილ. 10 ს. 28 წ. 3) სამგზ. № 8, II—III კლ. დილ. 5 ს. 33 წ.

**ბაქოდან:** 1) სამგზ. № 5, I—II კლას. საღ. 5 ს. 7 წ. 2) საფოსტ. № 3, I—III კლ. დილის 8 ს. 54 წ. 3) ჩქარი № 1, I—III კლ. ღამ. 9 ს. 56 წ. 4) შერეული № 107, IV—III კლ. ღამის 9 ს.

**ერევან-ჯულფიდან:** საფოსტო მატ. № 72/73, I—II კლ. 8 ს. 25 წ. 2) სამგზავ.-საქონ. № 80/81, II და III კლ. დღ. 4 ს. 40 წ.

**ბორჯომიდან:** სამგზ. № 61/10, I—II კლ. დილ. 8 ს.

**შენიშვნები:** 1 გადაუჯდომლად პირდაპირ მგზავრობა ტფილის-ბაქო-როსტოვამდე შეიძლება განსაკუთრებულ ვაგონებით, რომელიც ამიერ-კავკასიის 1 და მე-2 მატარებელს მისდევს, ხოლო კავკასიის მატ. მე-5 და მე-6. ყველა ვაგონები პლაცკარტითაა (საკუთარ. საწოლებით).

## უფასო საექიმო დახმარება

### ქალაქის საბჭოს ექიმები.

| უბნები | |
|---|---|
| 1—2 | **გ. ა. გედალინი** (სდგას ვერაზე, ოლგის ქუჩა, 22. ტელეფ. 592). |
| 3—4 | **მ. ი. შავერდოვი** (ფეთხაინის აღმართზე, 1, ტელ. 619). |
| 5—6 | **ტ. მ. თათეოსიანი** (ველიამინოვის, 4, ტელეფ. 680). |
| 6—7 | **შ. ა. მიქელაძე** (ავლაბარში, კახეთის ქ., 1, ტელ. 816). |
| 8—9 | **ნ. დ. ხატისოვი** (კუკიაში, ნიკოლოზოვის ქ. 7, ტელ. 715). |
| 10, 11—12 | **ა. ი. შჩერბინინისა** (დიდუბეში, საგურამოს ქ. 5. ტელეფ. 715) |

## გემების მიმოსვლა შავ-ზღვაზე.

(ზამთარში).

### რუსეთის საზოგადოებისა.

**ბათომიდან გადის:** ოდესისაკენ პირველი—საფოსტო-სახალხო გემი სამშაბათობით ღამის 1 საათს, ყველა ზღვის პირა ქალაქს გაივლის. მეორეც—ხუთშაბათობით, ღამის 1 საათს. პირ და პირ—სოხუმით, გაგრათი, სოჭით, ტუაფსეთი, ნოვოროსიისკით-ფეოდოსიით, იალტათი, სევასტოპოლითა და ევპატორიით შაბათობით, შუაღამეს.

**სახალხო გემები** ყველა ზღვის-პირა ქალაქებზე ორშაბათობით და სამშაბათობით ნაშუადღევის 2 საათს.

**სახალხო-საქონლის** გემები — ესენიც ყველა ქალაქისკენ გაევლიან ოთხშაბათობით და პარასკეობით შუაღამეს.

# განცხადებანი


## კუპრიოლი

ხეების სიდამპლისა და დაჭიანებისაგან უზრუნველსაყოფი იყიდება „სნეულებათაგან ხის უზრუნველმყოფელ საზოგადოების კავკასიის განყოფილებაში“. მცხეთა, სახლი გეგეჭკორისა. წვრილ-წვრილად იყიდება მედროგეებთან. (4—286—2)

## ახლად — თეთრეული

მივიღეთ აუარებელი შიგრჩეული მამაკაცთა სახიანი და თეთრი პერანგები დამზადებული მამაკაცთა საუცხოო და ქალთა მოდური საგალანტერიო საქონელი

შლიაპები (Goppev') მამაკაცებისათვის წავის მატყლის (კასტორისა) უკანასკნელ ფასონისა.

ა. კ. გუკასიანის მაღაზია

გოლოვინის პროსპექტი № 18, სახაზინო თეატრის პირდაპირ. (6—1147—2)

## ექიმ ნავასარდიანის პირველი კერძო სამკურნალო

დაარსებულია 1880 წელს.
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

**ავადმყოფების მიღება ყოველ დღე გარდა კვირისა.**

**დილით:**

„606“ —11—12 ს. შეშხაპუნება კონსულტატიურად.

**ბ. ა. ნავასარდიანი;** 11—12 ს. ქირურგიული, და ვენერიული (სიფილ.) ავად.

**ბ. გ. აგასაროვი:** 9—10 ს. შინაგანი ბავშვთა ავადმყ.

**კ. მ. ჩიქოვანი:** 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასოვი:** 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა,

**ნ. ტ. მულინი:** 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

**მ. გ. ავეტისიანცი:** 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.

**გ. ი. გურგენოვი:** 12—1 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

**ა. პ. კარაპეტიანცი:** 12—1 ს. შინაგანი საბავშვო და ყვავილის აცრა.

**კბილის** საექიმო კაბინეტი **ი. ა. ფრანკისა** 9—2 ს. წამლობა, პლომბის გაკეთება და ხელოვნური კბილების ჩასხმა.

**საღამოთი:**

**მ. გ. ავეტისიანცი:** 6—7 საათ.

**ი. ა. ფრანკი:** 5—7 ს.

რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.

სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.** (წ. 1074.33)

## სამკურნალო ექიმთა საზოგადოებისა

**მუდმივის საწოლებით.**

მიხეილის ქუჩა, № 59, მიხეილის საავადმყოფოს პირდაპირ, ტელეფონი № 1026.

იღებენ ავადმყოფთ:

**ალაჯანოვი**—საშარდე ორგანოთა, ათაშანგისა და კანის სნეულებისა—დღის 11—12 ს.

**ვ. ვ. ვნუკოვი**—ქირურგიულ სნეულ. ნაშუად. 1—2 საათამდე.

**ეგიაზაროვი ი. ნ.**—შინაგან, ნევრვებსა, სულით-ავადმყოფთ. ელექტროტერაპია დილის 11—12 საათამდე.

**კიმონტი გ. პ.**—ქირურგიულ სნეულ. დილის 11—12 საათამდე.

**მაგაკიანი გ. ნ.**—შინაგან სნეულებ. და ბავშვების ავადმყ. დილ. 11½—12½ სთ.

**ა. დ. კალმიკოვისა-ვნუკოვისა**—დეთა ავადმყ.—დილ. 11—12 ს. სამკურნალოში ელექტრონითა და მასაჟით სწამლობენ. მიკროსკოპიულ, ბაქტერიოლოგიურ და ქიმიურ გამოკვლევას ახდენენ. ყვავილს უცრიან. ძიძებს ამოწმებენ. რჩევის ფასი 50 კ. ოპერაციებისა და კონსულტაციების ფასი—მორიგებით. სამკურნალოს სტაციონალური განყოფილება შესდგება საზოგადო პალატისა და ცალკე ნომრებიდან.

**წამლობა „606“-ით.**

(100—1615—33)

## ექიმი ვ. მუსხელიშვილი.

მიიღებს თვალის ავადმყოფთ ყოველ დღე დილ. 9—11 ს. დიდი მთავრის ქ., № 67, სახლი სვანიშვილისა.

## ყოველ-დღე მოგვდის:

ახალ-ახალი წითელი ხიზილალა, ზუთხი, თართი, ლოქო, ფარგა, კოშარი, სალიანის თევზეულობა შამაია და ყოველ გვარი გამოსული თევზი

(წ.—1131—12)

## თევზის მრეწველნი ძმ. ძეგველოვები.

პუშკინის ქ., საკუთარი ს. № 9.
ტელეფონი № 712.

## სააქციონერო საზოგადოება „ს.-პეტერბურგის საქიმიო ლაბორატორია“.

(დაარსებული 1860 წ.)
იზმაილოვის პროსპექტი, № 27.

**1900 წ. პარიზის ოქროს მედალი.**

ო-დე-კოლონი ორადი.
ო-დე-კოლონი სამადი.
ო-დე-კოლონი № 4 (ექსტრაქტი)

**ღირსებით არ ჩამოუვარდება უცხოეთის ნაწარმოებს.**

მთავარი საწყობი: ტფილისი, სააფთიაქო საქონლით მოვაჭრე კავკასიის ამხანაგობა.

„ს.-პეტერბურგის საქიმიო ლაბორატორიის“ საზოგადოება თხოულობს, **რადგან ყალბი ნაწარმოებიც ჩნდება**, მიაქციონ ყურადღება ფირმის სახელწოდებას, რომელიც **მხოლოდ სამი სიტყვისაგან შესდგება:**

„ს.-პეტერბურგის საქიმიო ლაბორატორია“.

და **ნიშანს** საზოგადოებისას, რომელზედაც გამოხატულია ძეგლი **იმპერატორ პეტრე დიდისა**, ს.-პეტერბურგში, სენატის მოედანზე დადგმული. (12—1297—8)

## 1 პირველი კავკასიური თესლეულობის დეპო ლარშე



1872 წლიდან არსებობს.
№ 10 მიხეილის პროსპექტი № 10.
ჰყიდის ახალ მოსავლის საუკეთესო ღირსების

**ნაცად თესლეულობას**

საბოსტნოს
ყვავილებისას
მცენარეულისას
ხეებისას

და საუკეთესო საზრდოს იადონისათვის გირვ. 25 კ. **პრეისკურანტი მოთხოვნილებისსთანავე უფასოდ ეგზავნებათ.** (1. 1140.1.)

## პატეფონების ახალი მოდელები

საუკეთესო მოლაპარაკე მანქანებად არის აღიარებული, **ნემსის გამოცვლა სრულებით არა სჭირდება!** წყუნ დაუდებელი მანქანა

ახალი რამ: „რეკორდი“ — 25 მან.

**გარანტია — ფასის გადახდა ნაწილ-ნაწილ.**

უდიდესი რეპერტუარი ფირფიტებისა ყველა ადგილობრივ ენაზე. მიღებული გვაქს განსაკუთრებითი **საუკეთესო ფირფიტები** უკანასკნელ ჰანგებისა.

**ნამდვილი** პატეფონები და ფირფიტები **ძმ. პატტე-ს** სააქციონერო საზოგად. ქარხნისა.

ტფილისში იშოვება **მხოლოდ** ერთად-ერთ წარმომადგენელ

**კარლ შუმანთან.** გოლოვინის პროსპ., № 10, კავკას. აფიცერთა ეკონომიურ საზოგადოების იჯარადარი.

(6—1152—1) ტელეფონი № 939.

## გერმანელი სტუდენტი

ვაძლევ გაკვეთილებს გერმანულ ენისას აგრედვე ვასწავლი სხვა საგნებსაც.

**მისამართი:** ვეძინის ქუჩა სახლი № 1. კორაევისა სტუდ. კასრაძე. (3—257—3)

## არსებობს ბევრი მოლაპარაკე მანქანა მაგრამ ГРАММОФОНЪ „ამური“

ერთად ერთი ნამდვილი მანქანაა. გრამოფონის ყიდვის დროს მოიკითხეთ მთელ დედამიწის ზურგზე საუკეთესო გრამოფონის ფირფიტები

„მღერავი  ამური“

ყოვლად გაუმჯობესებული, უკანასკნელ ხელოვნურად გადღებულ ქართველ მომღერალთა ჰანგებით.

ОБЩЕСТВО ГРАММОФОНЪ СЪ ОГР. ОТВ.

ტფილისი

გოლოვინის პროსპექტი, 9.
„ორიანტის“ სასტუმროს ქვეშ.

(3—1151—1)

## ფეხსაცმელები თომა დ. ჯანყარაშვილის

**მაღაზია-სახელოსნოში.**

იყიდება ყოველნაირი ფეხსაცმელი ქალისა, კაცისა და ბავშვისა, აგრეთვე ვიღებთ შეკვეთიდაც, ვამზადებთ საუკეთესო მასალისაგან ზომიერ ფასებში და ვასრულებთ პირნათლად. ადრესი: მუხრანის ქ., № 2. (25—285—3)

## დამყნილ ამერიკულ ვაზის სანერგე

სადგურ გომთან ს. წრომში, სადგურიდან 2 ვერს.

**„გიორგის შრომა“**

სანერგეს აქვს დამზადებული დიდძალი დამყნილი ამერიკული დაფესვებული ვაზი, სხ. და სხ. ჯიშისა. 1) ნამყენი ამერ. ვაზისა, კახური, ქართლ. და ევროპ. ჯიშებისა—ფასი 100—5—7 მან. 2) ამერიკ. ვაზი დაფესვ. 1000—6—10 მან. 3) სალობავი ეკალი (გლედიჩია) 100—3—6 მან. [illegible] (6—1145—4)